

საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი 2008 წ.
http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1329&info_id=21604

 ქართული პარიფტი

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. გაბაშვილი გიორგი
2. გოგორიშვილი ხათუნა
3. გოგუაძე გია
4. ვეფხვაძე ლევანი
5. თარგამაძე გიორგი (გივი)
6. თედორაძე რამაზი
7. ლალიაშვილი ნიკოლოზი
8. ლორთქიფანიძე დიმიტრი
9. მინაშვილი აკაკი

2008-11-27 20:57

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 27 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა

II ნაწილი
(თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი)

2008-
11-27
20:57

 რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 27 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა 

სხდომას თავმჯდომარეობს დროებითი საგამომიებო კომისიის თავმჯდომარე პ. დავითაია

თავმჯდომარე. მოგესალმებით ყველას. დიდი მადლობა მინდა მოგიხადოთ, ბატონო დავით, მობრძანებისათვის, როგორც ცნობილი არის პარლამენტის გადაწყვეტილებით შექმნილია დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც შეისწავლის აგვისტოს მოვლენებს და ყველა იმ წინა პირობებს, რაც მოჰყვა აგვისტოს მოვლენებს. აქედან გამომდინარე თქვენ, როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრი მზად ხართ თუ არა ითანამშრომლოთ დროებით საპარლამენტო კომისიასთან და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მიპასუხოთ ყველა იმ დასმულ კითხვაზე, რომელიც იქნება დასმული.

დ.კეზერაშვილი. დიდი მადლობა, ბატონო თავმჯდომარე. მოგესალმებით პატივცემულო კომისიის წევრებო. მე მზად ვარ ვითანამშრომლო აღნიშნულ კომისიასთან, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში გავცე ყველა, თუნდაც ყველაზე მწვავე შეკითხვებს პასუხები. მე უბრალოდ, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს პასუხებში იქნება გარკვეული ინფორმაცია, რომელიც იქნება საიდუმლო.

თავმჯდომარე. დახურული სხდომისკენ მერე თქვენ...

დ.კეზერაშვილი. განიშნებთ, დიახ. დანარჩენში მე მზად ვარ მოგახსენოთ ყველა კითხვაზე პასუხი.

თაემჯდომარე. ჩვენი მუშაობის სტილი მდგომარეობს იმაში, რომ იქნება დასმული ბლოკების მიხედვით კითხვები .ბატონო დავით, და თქვენ გაცემთ პასუხებს. როგორც ცნობილია, ის აგრესია, რომელიც განხორციელდა აგვისტოს თვეში, ეს არ დაწყებულა აგვისტოში, ეს არის, ამას აქვს გარკვეული წინაპირობები. აქედან გამომდინარე, ჩვენ როდესაც გვქონდა საუბარი გენერალური შტაბის უფროსთან, მან გასცა გარკვეული პასუხები ამ შეკითხვებთან დაკავშირებით. თქვენ როგორც თავდაცვის მინისტრი ... პოლიტიკური თანამდებობის პირი ბრძანდებით, აქედან გამომდინარე, ფლობდით თუ არა თქვენ ინფორმაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ რომ მზადდებოდა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. ვინ გაწვდიდნენ ამასთან დაკავშირებით ინფორმაციებს, რა დაგეგმარება ხდებოდა სამინისტროში ამ თვალსაზრისით, შემუშავებული იყო თუ არა გეგმის ნაწილი .თუ როგორ უნდა ემოქმედა თავდაცვის სამინისტროს, აქ არის საუბარი, არსებობდა თუ არა საერთოდ სამხედრო სტრატეგია ომის დაწყების წინა მიმართულებით, რა პრევენციული ღონისძიებები დაგეგმეთ ომის თავიდან ასაცილებლად, როგორც თავდაცვის მინისტრმა, გქონდათ თუ არა შეტყვის ან უკან დახვევის გეგმა შემუშავებული, თეორიულ გეგმებზეა საუბარი, სიტუაციის ესკალაციასთან დაკავშირებით, თქვენ როგორც თავდაცვის მინისტრი ღებულობდით თუ არა მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებების დაგეგმარებაში და მართვაში, როგორც გენერალური შტაბის უფროსმა ჩვენ გვითხრა, იყო შექმნილი სპეციალური სამხედრო შტაბი, რომელიც განლაგებული იყო გორის ტერიტორიაზე, ღებულობდით თუ არა მონაწილეობას ამ შტაბში, მუშაობაში ამ შტაბის ან დაგეგმარებაში ამ შტაბის და თუ შეიძლება მოგვიყვით ქრონოლოგიურად თქვენი მოძრაობები იგივე ამ კონფლიქტიდან დაწყებული 7-დან 14 რიცხვის ჩათვლით. მე მიინდა ხაზი გავესვა ერთ გარემოებას, საზოგადოებაში და სხვა წარმომადგენლებისაგან, სახელისუფლო წარმომადგენლებისაგან იყო გასმული ხაზი, რომ თქვენ არ იმყოფებოდით საქართველოს ტერიტორიაზე ომის დაწყების წინ და მერე ჩამობრძანდით, მე აქვე მიინდა დავადასტურო ერთი საკითხი, რომ ჩვენ როცა სპეციალური წერილი საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, 7-დან 14 რიცხვამდე თუ ვინ გადაკვეთა სახელმწიფო საზღვარი ამ საინფორმაციო ბაზაში თქვენ არ იმყოფებოდით, არც შესვლა არც გამოსვლა. ამით მე მიინდა გვითხროთ, 7-მდე იყო თქვენი შემოსვლა თუ არა საქართველოში. ჯერ ეს კითხვებია დასმული თუ ვინმეს დამატება სურს, დიახ, ბატონ აკაკის.

ა.მინაშვილი. ბატონო დავით, მე კონკრეტული კითხვა მიინდა დაგისვით, რაც „ალბათ, ბატონი პაატას კითხვებიდანაც გამომდინარეობს, ბატონმა კიწმარიშვილმა გუშინ განაცხადა რომ , თურმე საქართველო აპირებდა ჯერ შეტევას, ქართული ხელისუფლება აპირებდა ჯერ შეტევას ცხინვალის რეგიონზე და შემდეგ გადასვლას აფხაზეთზე. მაგრამ ამავე დროს საკუთარი პოზიციის საწინააღმდეგოდ განაცხადა, რომ 26 ივლისს, როდესაც ის , 15 ივლისს, როდესაც მოემართებოდა თბილისისაკენ, მან დაინახა სამხედრო კოლონები, რომელნიც გამოდიოდნენ სენაკიდან და მიდიოდნენ ცხინვალის რეგიონისაკენ, იყო თუ არა ეს მოძრაობა სენაკის ბაზიდან იმ პერიოდში.

გ.თარგამაძე. ბარემ ეს თემაც ამოვწუროთ, ასევე იყო გაცხადებული კიწმარიშვილის მიერ ,რომ ე.ი. ებრაელი, ისრაელიდან გამოგზავნილი ინსტრუქტორები გეგმავდნენ ოპერაციას და ოპერაციას მწვანე შუქი აუნთო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და როგორც გუშინ ის დაკონკრეტდა პრეზიდენტმა ბუშმა ამასთან დაკავშირებითაც და ასევე იყო მის მიერ ნათქვამი, რომ თქვენ განაცხადეთ მასთან შეხვედრაზე, რომ თუმცა ამაში ვერაფერს ისეთს ვერ ვხედავ მართალი რომ გითხრათ, რომ გყავთ ჯარი, რომელზე ძლიერი ჯარიც უახლოესი 4 წლის მანძილზე ვერ გეყოლებათ. აი, ამ მის მიერ დასმულ კითხვაზე.

თაემჯდომარე. ბატონო ნიკა.

ნ.ლალაშვილი. ფაქტია, რომ ოპერაციის

თაემჯდომარე. ბატონო ნიკა, გვარი დავასახელოთ.

ნ.ლალაშვილი. დაწყება, ოპერაციის დაწყება საქართველოს წინააღმდეგ მოხდა ჩვენთვის ყველაზე არასასურველ დროს, რადგანაც ამ პერიოდში მიმდინარეობდა, უფრო სწორად, არ იყო ჯერ დასრულებული შეიარაღებულ ძალებში გადაიარაღების და პროცესი. იყო, ვთქვათ, იქ ბრიგადების მეთაურების მოუშვადებლობა, რომ ემართათ ეს დამძიმებული, მიმიე ტექნიკით ზედმეტად დამძიმებული ბრიგადები. არ იყო მოყვანილი სათანადო დონემდე ბრიგადების შერწყმა და ბრიგადების დონეზე მოქმედებების, ბრიგადების დონეზე თვითონ მოქმედებების, ასე ვთქვათ, წვრთნები არ იყო ამ მიმართულებით სათანადოდ ჩატარებული. და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, მე ვფიქრობ, რომ უშუალოდ, აი, ამ ოპერაციების, აგვისტოს მოვლენების დაწყებამდე, რამდენიმე ხნით ადრე მოხდა სამივე, სამი დიდი ბრიგადის, სამი ბრიგადის, უფრო სწორად, მეთაურების შეცვლა. ამ ფონზე ის, რაც ბატონმა გვიმ დასვა ეს შეკითხვა, მე კიდევ უფრო მიინდა, ვთქვათ, დავაკონკრეტო. იყო თუ არა, ვთქვათ, შეიარაღებული ძალების ოფიცერთა შემადგენლობის მხრიდან, ბრიგადების მეთაურების მხრიდან ან სამოქალაქო კომპონენტის მხრიდან გადაჭარბებული შეფასება საკუთარი

ძალების. მე არ მინდა ვიხმარო ეს სიტყვა ბაქი-ბუქი, მაგრამ იყო თუ არა, აი, ეს, ვთქვათ, ზედმეტი, ზედმეტად ოპტიმისტური შეფასებები. ჰქონდა თუ არა ამას ადგილი, რასაც შესაძლოა შეეყვანა შეცდომაში ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. გმადლობთ.

თაემჯდომარე. გაბაშვილს ვთხოვ.

გ.გაბაშვილი. ბატონო დავით, მე მივიღე ინფორმაცია, რომელიც გვაქვს. ამ შემთხვევაში დასტურდება ჩვენი წინა შეხვედრებიდანაც სხვადასხვა თანამდებობის პირებთან და რუსული ღია წყაროებიდან ან წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით, რომ ივლისის ბოლოს დაიწყო და 2 აგვისტოს დასრულდა სწავლებები "კავკასია – 2008", რომელშიაც პრესაში არსებული ინფორმაციით, მე ვერ ვიტყვი ზუსტია თუ არა ეს ინფორმაცია, მონაწილეობდა 9000 სამხედრო მოსამსახურე, რომლის, ასე ვთქვათ, გამაგრებასაც ახდენდა სამხედრო-საჰაერო ბაზა, მოზდოვის აეროპორტის სამხედრო-საჰაერო ბაზისა. მე კიდევ ერთხელ იგივე შეკითხვას კიდევ უფრო ვაზუსტებ. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომელიც ბატონმა ვანომ მოგვაწოდა გუშინ, როცა ის გვიჩვენებდა სამხედრო ბაზებს ჯავასა და ცხინვალში ერთი წლის განმავლობაში აშენებულს 2007-დან 2008 წლამდე, თუ რამდენად ხდებოდა ეგრეთ წოდებული "მილითარი ბილდ აფ" ჯარის გაძლიერება თითონ სეპარატისტებისთვის და აგრეთვე გვაქვს ღია მედიარესურსებიდან მოპოვებული ინფორმაცია და ასევე რუსული მხრიდან დადასტურებული ინფორმაცია მედესანტების შეყვანაზე ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში. ამ ფონზე რამდენად, ვთქვათ რეალურად მიგაჩნიათ ან გაქვთ თუ არა ინფორმაცია, რომ საქართველოს გენშტაბში, ან მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ყოფილიყო ამოცანა საქართველოს ხელთ არსებული შეიარაღებული ძალების მხრიდან არა . ვთქვათ, შემდგომ შემოყვანილი რუსების მიერ შემდგომ გამოყენებული დამატებითი ძალების, არამედ აი მხოლოდ ამ ძალების ნეიტრალიზაციისა აფხაზეთ-ოსეთის, ტერიტორიაზე და , ასე ვთქვათ, სამხედრო გზით გამარჯვების მიღწევისა, ტერიტორიების სამხედრო გზით დაბრუნების შესახებ, იყო თუ არა ესეთი გეგმები ან პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ან გენერალურ შტაბში, რომლის საქმის კურსში თქვენ იყავით და იყო თუ არა ამაზე სერიოზული ფორმალისებური მსჯელობა შეიარაღებული გზით ტერიტორიების დაბრუნების შესახებ.

დ.კეზერაშვილი. შეიძლება დავიწყო.

თაემჯდომარე. დიახ, ბატონო დავით.

დ.კეზერაშვილი. კარგით, მაშინ მე თანმიმდევრობით მივყვები, თუ შეიძლება. პირველი შეკითხვა ეხებოდა ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროსთვის. მოგეხსენებათ, საქართველოში არსებობს რამოდენიმე სტრუქტურა, რომელიც მუშაობს ინფორმაციის მოპოვებაზე .ეს არის საგარეო დაზვერვა, ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვა და ჩვენთან არსებული სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი. თავდაცვის სამინისტროში, ბუნებრივია, ჩვენ ვღებულობდით ინფორმაციას , ხშირ შემთხვევაში , ასე ვთქვათ, ონლაინ რეჟიმში, ხშირ შემთხვევაში, შეკრების გარკვეული, გარკვეული შეკრებების დროს , ეს გააჩნია ინფორმაციას , ასე ვთქვათ, რამდენად სასწრაფო იყო ამ ინფორმაციის გაანალიზება, მიწოდება. ინფორმაცია , ბუნებრივია, არსებობდა ჩვენს სტრუქტურებს შორის. შესაბამისად მე ვფლობდი და თავდაცვის სამინისტრო , ბუნებრივია, ფლობდა ყველა სახის ინფორმაციას , მათ შორის, იმ ინფორმაციას, რომელიც გუშინ ბატონმა ვანო მერაბიშვილმა მოგაწოდათ. იქ იყო გარკვეული ახალი ინფორმაციები, რომლებიც აქამდე არ იყო გაჟღერებული. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ ინფორმაციასაც ვფლობდით. სწორედ ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით და ამ ინფორმაციების გაანალიზების შედეგად, აქედან გამომდინარე, ხდებოდა გეგმების გაკეთება, სამხედრო გეგმებს ვგულისხმობ, ეს უკვე გენშტაბში, და მე რამდენადაც ვიცი გაერთიანებული შტაბის ყოფილმა უფროსმა უკვე მოგახსენათ ამის შესახებ, ბატონმა ზაზა გოგავამ. მოგეხსენებათ, თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბი, არის ცოცხალი ორგანიზმი და გეგმები პრაქტიკულად, იხვეწება ყოველდღიურად იმისდა მიხედვით თუ რა საფრთხეები ემუქრება ქვეყანას, იმისდა მიხედვით თუ რა მოძრაობას აკეთებს მოწინააღმდეგე. აქედან გამომდინარე და ამ რეალობიდან გამომდინარე ხდება მუდმივად ამ ყველაფრის დახვეწა, გადაკეთება ან დაგეგმვა. რაც შეეხება ინფორმაციას, თუ გაქვთ სურვილი, მე შემიძლია უბრალოდ, გავიმეორო იგივე ინფორმაცია, რაც, ასე ვთქვათ, თქვენ გუშინ მოისმინეთ, რა თქმა უნდა . მე ეს მაქვს და ვიცი. ყველაფერი დაიწყო პრინციპში, მე შემიძლია ვთქვა, რომ მთლიანი ჩემი მინისტრობის პერიოდში. რა თქმა უნდა, არსებობდა ბევრი საუბრები იმის თაობაზე, რომ არის საფრთხე და ეს საფრთხე არსებობს და არსებობდა მაშინ, მაგრამ ყველაფერი შევიდა გადაწყვეტ ფაზაში , ჩემი აზრით, დაახლოებით გაზაფხულს, გაზაფხულის დასაწყისში, უფრო კონკრეტულად, 6 მარტს მოგეხსენებათ, როდესაც რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა გასცა განკარგულება და რუსეთი გამოვიდა ცალმხრივად დსთ-ს ხელშეკრულებიდან, რომელიც ითვალისწინებდა აფხაზეთისთვის , მათ შორის, შეიარაღებაზე ემბარგოს. ამას მოჰყვა მერე შემდეგ გარკვეული მოვლენები, ეს ღია წყაროებიდანაც, ანუ ეს გადიოდა, როგორც ღია წყაროებშიც ჩანდა კარგად, ვგულისხმობ მედიას, მედიასაშუალებებს. კერძოდ, ეს იყო

შეყვანა რუსული სამხედრო ტექნიკის, ამ შემთხვევაში, აფხაზეთში. თქვენ, ალბათ, გახსოვთ კიდევაც ერთ-ერთ რუსულ არხზე გაიპარა კიდევაც ასეთი კადრი, როდესაც გალის რაიონში, ოჩამჩირე- გალის საზღვარზე დაფიქსირებული იყო "დ-30" ტიპის ჰაუბიცები, რომელიც ყველანაირი ხელშეკრულების მიხედვით იგი არ უნდა ყოფილიყო და არანაირი უფლება არ ჰქონდათ მათ მანდ ყოფნის. მათ გადაისროლეს, ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასროლილი იქნა მედესანტეთა პოლკი, რომელიც ასევე არ უნდა ყოფილიყო, მათ დაიკავეს გარკვეული პოზიციები. ეს ყველაფერი ხდება დაახლოებით აპრილის თვეში. ამ პერიოდში, აპრილ-ივნისის პერიოდში რუსეთის ფედერაცია მნიშვნელოვნად ზრდის მძიმე შეიარაღების რაოდენობას აფხაზეთში, მათ შორის, კონფლიქტის ზონაში შეყვანილი არის საჰაერო- სადესანტო ქვედანაყოფები, ეს რაც უკვე ვახსენე, ეს გამოქვეყნდა კიდევაც. შემდეგ უკვე "კრასნაია ზვეზდას", ასე ვთქვათ, თავდაცვის სამინისტროს გაზეთში. ასევე აფხაზეთში შემოყვანილი იქნა რუსეთის ფედერაციის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ბატალიონი "ვოსტოკი", ეს, აგრეთვე წოდებული, ჩეჩნური ბატალიონი, რომელიც შემდეგ იქნა შემოყვანილი, უკვე ამის ნაწილი შემოყვანილი იქნა უკვე ოსეთის ტერიტორიაზეც, ცხინვალში. ამავე პერიოდში აპრილ-ივნისის განმავლობაში რუსულმა, რუსებმა აფხაზეთში შეიტანეს 3 ბუკის ტიპის საჰაერო თავდაცვის კომპლექსი, დაახლოებით 40 "დე-30" ტიპის ჰაუბიცა დამატებით, 10 "ზმ-21" გრადის სისტემა, 20 "შილკა" 23-2, 23-4 ჰაერსაწინააღმდეგო ქვემეხი, 120 ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა, 2 "ნი-23"-ის ვერტმფრენი. ტექნიკის მომსახურებისათვის აფხაზეთში აყვანილი იქნა 50 ავიაციის სპეციალისტი, 30 სამხედრო ექსპერტი, 100 კომუნიკაციის და საჰაერო თავდაცვის ექსპერტი. ეს ყველაფერი მეტყველებს ზუსტად იმაზე, ბატონო გოკა, რომ ეს არის ღია ნიშნები სამხედრო "მილიტარი ბილდავის," ე. წ. სამხედრო ტექნიკის ინფრასტრუქტურის მშენებლობის. პარალელურად, მიმდინარეობდა იქ გარკვეული ზაზების მშენებლობა და აღდგენა. მათ შორის, ოჩამჩირის ტერიტორიაზე. მათ შორის, როგორც თქვენ უკვე იხილეთ ეს სურათები, ზაზების სურათები ოსეთის ტერიტორიაზე. ეს პარალელურად გრძელდება. ამავდროულად აპრილ-ივნისში, რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ლეზულობს მონაწილეობას დაახლოებით, 8 წვრთნაში, საიდანაც სამი წვრთნის ძირითადი აქცენტი არის დესანტირების განხორციელება, რაც ასევე იყო გარკვეული ნიშანი. აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის დეკრეტით, რუსი სამშვიდობოების შტაბის ყოფილი უფროსი, პავლუშკო, დაინიშნა დე ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილედ. ეს ხდება 30 აპრილს. 1 მაისს დაჩქარებული წესით რუსეთის ფედერაციის მიერ გაიხსნა ახალი უკანონო საკონტროლო-გამშვები პუნქტები ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის გზაზე ოჩამჩირესა და ტყვარჩელის რაიონებში, მათ შორის, ნაკალახთან, არაძიხსა და კამარასთან. 94 წლის ხელშეკრულებით მათ არ ჰქონდათ უფლება აქ ჰქონოდათ რაიმე სახის გამშვები პუნქტები. 3 მაისს ოჩამჩირის პორტში სამხედრო ზაზაზე დაფიქსირდა 5 ერთეული 120- მილიმეტრიანი საარტილერიო სისტემა და რამდენიმე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა "ზუგემ-1". 26 მაისს რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთში გააგზავნა რუსეთის რკინიგზის ჯარები, ეს ღია წყაროებით იყო. ამაზე, მოკლედ, მე შემიძლია ვთქვა, რომ მან ისეთი, ანალიზი არც კი სჭირდება ამას, ვინც უბრალოდ, იცის რუსეთის შეიარაღებული ძალების, ასე ვთქვათ, ჩონჩხი და მოქმედების სტრატეგია, შეიძლება მარტივად გაკეთდეს დასკვნა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები ვერ გადაადგილდება, როგორც წესი, ჩვეულებრივი გზით, მათ აუცილებლად სჭირდებათ რკინიგზა. ამისთვის ჰყავთ მათ ეს "ჟელსტროიბატი", ე. წ., რომელიც შემოყვანილი იქნა ამ შემთხვევაში აფხაზეთში და მათ გაარემონტეს და აღადგინეს რკინიგზა პრაქტიკულად გალამდე. ეს კიდევ ერთი ნიშანი იყო, რომ რაღაც, ასე ვთქვათ, რაღაცის მზადება ბუნებრივია ხდებოდა.

გუდაუთში, "ბომბორას" სამხედრო ზაზაზე დაფიქსირდა რამდენიმე "სუ-25" და "სუ-27"-ს ტიპის თვითმფრინავის აფრენა-დაშვება, ბომბორას აეროპორტი ასევე, ბუნებრივია, შეკეთდა, იმიტომ მოგეხსენებათ, ეს აეროპორტი იყო გამოსული მწყობრიდან რადგან, ის, პრინციპში, თვითონ ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი მაინცდამაინც არ სჭირდებოდათ, გამოსული იყო მწყობრიდან და ამავე დროს მოხდა ამ ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის შეკეთება და მწყობრში შეყვანა. 17 ივნისს, თქვენ, ალბათ, გახსოვთ, ქართული პოლიციის მიერ დაკავებული იქნა ზუგდიდში კოლონა, რომელსაც გადაჰქონდა, რომელშიც იდო 20 ერთეული ტანკსაწინააღმდეგო მართავადი რაკეტა, რომელიც არ უნდა ჰქონოდათ სამშვიდობოებს. ეს, როგორც წესი, სამშვიდობოების შეიარაღებაში არ შედის მსგავსი შეიარაღება. ნუ, ეს იქნა ჩამორთმეული. 25 ივნისს, ქალაქ ცხინვალში ჩავიდა ამჟამად რუსეთის სამხედრო ჯარების სარდალი, მასზე გუშინ ბატონმა ვანომაც ისაუბრა, გენერალი ალექსეი მასლოვი, რომელმაც გამართა შეხვედრები რუსეთის სამშვიდობო ძალებსა და დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან. 3 ივლისს, სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელმძღვანელობის მხრიდან განხორციელდა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელზე სანაკოფეზე თავდასხმა. რუსულ საინფორმაციო სააგენტო "უტრასთან" გაკეთებულ განცხადებაში აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ რუსი ინსტრუქტორები ამზადებენ აფხაზ ჯარისკაცებს. 8 ივლისს აფხაზეთში განლაგებულ ზაზაში დამატებით შეყვანილი იქნა სამხედრო 4 ჯავშანტრანსპორტიორი, 4 ბეერდენი და რამდენიმე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა. ოხურეის სამხედრო ზაზის მშენებლობა, ისევე როგორც სოხუმში შუქურას დასახლებაში სამხედრო ზაზის მშენებლობა დასრულდა 2008 წლის გაზაფხულზე რუსების დახმარებით. ბუნებრივია, რუსეთის ფედერაციის სამხედრო- საჰაერო ძალების კუთვნილება 4-მა თვითმფრინავმა 10 ივლისს, ეს უკვე ცნობილი ფაქტია, ასევე დაარღვიეს საჰაერო სივრცე. ეს არის ის დღე, როდესაც ჩვენთან საქართველოში იმყოფებოდა ქალბატონი კონდოლიზა რაისი. 15 ივლისიდან 2 აგვისტომდე რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი წვრთნები საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის უშუალო სიახლოვეს. ეს, ბატონო გოკა, რაც თქვენ ახსენეთ "კავკასია 2008", რომელშიც მონაწილეობას

დებულობდა, დაახლოებით, 8000 სამხედრო მოსამსახურე, სხვადასხვა ტიპის 700-მდე ერთეული ჯავშანტექნიკა, 30-ზე მეტი თვითმფრინავი და ვერტმფრენი. 18 ივნისს აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებმა უარყვეს, უარი თქვეს გერმანული მხარის მედიატორობით შემოთავაზებულ სამშვიდობო გეგმაზე და უარი თქვეს ბერლინში დაგეგმილ შეხვედრაში მონაწილეობაზე. 20 ივლისს როკის უღელტეხილთან გადასროლილი იქნა საჰაერო-სადესანტო ჯარების ფსკოვის დივიზიის ქვედანაყოფები, 22-24 ივლისს ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენელმა უარი თქვა მონაწილეობა მიეღო ევროკავშირის მიერ ბრიუსელის დაგეგმილ შეხვედრაში, რომელშიც ასევე მონაწილეობა უნდა მიეღო რუსეთის მხარეს. 25 ივლისს როკის უღელტეხილთან გადასროლილ იქნა ბუდიონოვსკის მოტომსროლელი ბრიგადის ნოვოროსისკის მე-7 სადესანტო მოიერიშე დივიზიის ვოლგოგრადის მე-20 მოტომსროლელი დივიზიის ქვედანაყოფები, სეპარატისტებმა ცეცხლი 28 ივლისს უკვე სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს სამშვიდობო დამკვირვებლებს, სამშვიდობო და ეუთოს დამკვირვებლის ჯგუფს, რომელიც მოძრაობდა ჩორბაულის ზნაურის რაიონის მიმართულებით, 29 ივლისს პირველად ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების ... დამთავრების შემდეგ სეპარატისტებმა დაიწყეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ქვეშ მყოფი ქართული სოფლების, მათ შორის, სადაც განლაგებული იყვნენ ქართული სამშვიდობოები, დაბოძა მსხვილკალიბრიანი არტილერიით, ეს ხდება პირველად, მე ამას მინდა ხაზი გავუსვა, მანამდე არც ერთი შეტაკების დროს და სროლის დროს ...

ბატონო დავით, რა, 28 თქვით 28 ივლისი?

დ. კეზერაშვილი. 29 ივლისი. კი, ბატონო. მანამდე, როგორც წესი, მსხვილკალიბრიანი არტილერია გამოყენებული ოსეთის მხრიდან არ ყოფილა, მე ვსაუბრობ 82 მმ-ზე ზემოთ, აღნიშნული ფაქტი დადასტურებული იქნა რუსი გენერალი მურად კულახმეტოვის მიერ ხელმოწერილ ანგარიშში. მე თუ არ ვცდები მამუკა ყურაშვილმა გადმოგვით ყველა ეს დოკუმენტი, სადაც ფიქსირდება ხელმოწერებით ყველა აღნიშნული დარღვევა, ივლისის ბოლოს 2008 წლის ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სტუმბის ინფორმაციით აგვისტოს დასაწყისში შემოთავაზებულ იქნა შეხვედრა ქართულ და ოსურ მხარეებს შორის. სეპარატისტებმა ამაზეც თქვეს, ამ შეხვედრაზეც თქვეს უარი. ამავდროულად დასრულდა უგადანგის ჯავის სამხედრო ბაზა, რომელიც დაიწყო 2006 წელს და ცხინვალში მდებარე სამხედრო ბაზის მშენებლობა, რომელიც დაიწყო 2008 წლის დასაწყისში. მშენებლობა დასრულდა ქალაქ ცხინვალში. რუსი სამშვიდობო ჯარების ... ტერიტორიაზე 58-ე არმიის 33-ე სამთო-მსროლელი მოტომსროლელი ბრიგადის, ბრიგადისთვის გაიშალა სავლეთ კარავი 1500-2000 კაცზე და დაიწყო მათი ეტაპობრივი შევსება. 1 აგვისტოს ორი მართვადი ნადმით აფეთქებულ იქნა საქართველოს პოლიციის მუშაკები. 2 აგვისტოს საღამოს ოსმა სეპარატისტებმა სოფლებიდან ხეთაგუროვო და უბათი ცეცხლი გაუხსნეს ქართულ სოფლებს ავნეეს და ნულს, რის შემდეგაც დაზიანდა რამოდენიმე საცხოვრებელი სახლი. რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია ჩრდილო კავკასიაში მოხალისეთა მობილიზაციის შესახებ საქართველოში დაქირავებულთა შეყვანის მიზნით. სეპარატისტებმა განაცხადეს ცხინვალიდან და მათ მიერ კონტროლირებადი სოფლებიდან მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ. ოსმა სეპარატისტებმა ქალაქ ცხინვალიდან ცეცხლი გაუხსნეს ნიქოზსა და ერგნეთს, ხოლო ოსური ფრისიდან და სარაბუკიდან - სოფელ ერედვს. როკის გვირაბის გავლით სამხრეთ, ეს 3 აგვისტოს ხდება, რასაც ახლა ვიტყვი, როკის გვირაბის გავლით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემოყვანილ იქნა 42-ე დივიზიის ცალკეული სადაზვერვო ბატალიონი. 4 აგვისტოს გვიან ღამით ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს სარაბუკის სიმაღლეზე განლაგებულ ქართულ სამშვიდობო საგუშაგოს, რის შედეგადაც დაიჭრა ორი სამშვიდობო. სეპარატისტების მხრიდან ქართული სოფლების დაბომბვის ფაქტი დადასტურებულ იქნა რუსი გენერლის მარატ კულახმეტოვის მიერ ხელმოწერილ ანგარიშში. 4 აგვისტოს დასახლებულ პუნქტ ელბაქითასთან ტურბაზის ტერიტორიაზე დაფიქსირდა 1200 სამხედრო მოსამსახურე. 5 აგვისტოს უკვე, არსებული ინფორმაციის შესაბამისად, 3 ტანკი და 2 სამხედრო სატვირთო მანქანა მიიქმართება ავნევის მიმართულებით. მოპოვებულ იქნა სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მინძავეის სატელეფონო საუბრის გადაჭერა, რომელიც თქვენ გუშინ მოისმინეთ, სადაც ის ამბობს, რომ უნდა იქნას ადგილი მიწიდან სოფელი ნული. 5 აგვისტო. როკის გვირაბიდან შემოყვანილ იქნა 40 ერთეული თვითმავალი საარტილერიო დანადგარი და ჯავშანტექნიკა. კვდარის უღელტეხილის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანილ იქნა 30 ერთეული ქვემეხი. როკის გვირაბის გავლით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემოყვანილ იქნა 33-ე ბატალიონის ცალკეული სამთო-მსროლელი ბრიგადის სადაზვერვო ბატალიონი სრული საბრძოლო ტექნიკითა და საბრძოლო მასალების კომპლექტაციით. გარდა ამისა, ამ დღისათვის საქართველოს საზღვრებთან მობილიზებული იყო შემდეგი შენაერთები: 58-ე არმიის მე-19 მოტომსროლელი დივიზიის 135-ე და 693-ე მოტომსროლელი პოლკი, 76-ე საჰაერო მოიერიშე დივიზიის 104-ე და 234-ე საჰაერო მოიერიშე პოლკები, 98-ე სადესანტო სადესანტო დივიზიის 217-ე პარაშუტისტთა პოლკი და ცალკეული სპეცდანიშნულების რაზმი. 31-ე ცალკეული საჰაერო-მოიერიშე პოლკი. 11693 სამხედრო, 891 ერთეული ჯავშანტექნიკა, 138 ერთეული არტილერია. ოსმა სეპარატისტებმა სამხედრო ტექნიკა და საარტილერიო საშუალებები განლაგეს კონფლიქტის ზონაში არსებულ ოსურ სოფლებთან დასახლებული პუნქტები. 4 ერთეული თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, დასახლებულ პუნქტთან ანძისთან 4 ერთეული თვითმავალი საარტილერიო დანადგარი,

დასახლებულ პუნქტთან ტბეთთან 3 ერთეული თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, დასახლებულ პუნქტ ერტებთან 5 ერთეული "ზნკ", 6 აგვისტოს დასახლებული 10 ერთეული "ზნკ" და კობათთან ნაღმტყორცნი, ნაღმტყორცნების ბატარეა. 6 აგვისტოს 2008 წლის დაახლოებით 16 საათზე სფლებიდან ფრინები, უბიათი და ხეთაგუროვო ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნენ ქართულ სოფლებს ნულს და ავნევს. 5-7 აგვისტო. პრეზიდენტ სააკაშვილის მოთხოვნით მისმა სპეციალურმა წარმომადგენელმა თემურ იაკობაშვილმა ორჯერ სცადა სეპარატისტებთან მოლაპარაკებები, მაგრამ უშედეგოდ. 6 აგვისტოს ადგილობრივი ტელევიზიით, ტელევიზიის განცხადებით დაახლოებით 150 ჩრდილო კავკასიელი მოხალისე შევიდა ცხინვალში. ცხინვალის სამხედრო ბაზაზე მომუშავე რუსი და ადგილობრივი მოსახლეობა დათხოვნილი იქნა სამსახურებიდან. ადგილობრივი ტელევიზიის განცხადებით დაიხურა მაღაზიები და სხვა დაწესებულებები. 7 აგვისტოს დასახლებულ პუნქტ ტბეთთან აღმოჩენილი იქნა 40 ქვემეხი და 20 ერთეული ჯავშანტექნიკა. 7 აგვისტო. მოპოვებული იქნა დილის 3 საათსა და 41 წუთზე, თქვენ მოისმინეთ ეს საუბრები, და 3 საათსა და 52 წუთზე ამ მონაკვეთში სატელეფონო რომელმაც დაადასტურა რუსული მხრიდან როკის გვირაბის გავლით მნიშვნელოვანი რაოდენობის პირადი შემადგენლობის ტექნიკის შემოყვანა. 9 საათსა და 45 წუთზე სეპარატისტების მიერ ოსური სოფლების უბიათისა და ხეთაგუროვოს მხრიდან, ეს 7-ში ხდება, ქართული სოფლების ავნევისა და ნულის მიმართულებით გაიხსნა საარტილერიო ცეცხლი სხვადასხვა სახის შეიარაღებიდან. მათ შორის, კონფლიქტის ზონაში აკრძალულ "დე-30" ტიპის ჰაუბიცებიდან. საარტილერიო სროლები მიმდინარეობდა უწყვეტად მთელი დღის განმავლობაში. სოფელ ავნევთან სეპარატისტებმა ააფეთქეს ქართულ სამშვიდობოთა ჯავშანტრანსპორტიორი, რის შედეგადაც დაიღუპა 2 და დაიჭრა 5 ქართველი სამშვიდობო. რუსეთის სპეციალური წარმომადგენელია პოპოვი, პოპოვმა ვერ მოახერხა მხარეებს შორის ადრე შეთანხმებული შეხვედრის ორგანიზება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მოიმიზეზა რა სეპარატისტების მხარეს უარყოფითი პოზიცია, თუმცა მანამდე მან გასცა, საკმაოდ სასაცილო მიზეზიც მოიყვანა საბურავის დაშვება. ბატონმა იაკობაშვილმა ამაზე რამდენადაც ვიცი მოგახსენათ. გენერალმა კულახმეტოვმა განაცხადა, რომ ის ვერ უკავშირდება სეპარატისტთა ლიდერს, და რომ რუს სამშვიდობოებს არ შეუძლიათ სეპარატისტთა შეტევის შეჩერება. კულახმეტოვმა ასევე დაადასტურა, რომ სეპარატისტები სროლას ახორციელებენ რუსი სამშვიდობო პოზიციების ზურგს უკან. ეს ხდება უკვე 7 რიცხვის შუადღეზე, როდესაც მოხდა ჩვენი სამშვიდობოების დაჭრა და 2 სამშვიდობოს დაღუპვა. ჩვენი მხრიდან მოხდა არაერთი მცდელობა დაკავშირებოდათ კულახმეტოვს, გენერალ კულახმეტოვს, ...და ჩვენი მხრიდან იყო თხოვნა, რომ შეჩერებულიყო დროებით მაინც სროლა, რათა ჩვენ მოგვეცემოდა შესაძლებლობა, გამოგვეყვანა ჩვენი დაჭრილები და დაღუპულები, რაზეც მან გაგვცა ზუსტად ეს პასუხი, რომ ის არ აკონტროლებს, საერთოდ ვერანაირი ზემოქმედება ვერ შეუძლია მოახდინოს სეპარატისტებზე და რომ ის, პრაქტიკულად, გადის თამაშიდან, ასე ვთქვათ. სეპარატისტთა უშიშროების საბჭოს მდივანმა ბარანკევიჩმა ადგილობრივ ტელევიზიაში გააკეთა განცხადება, რომ კახაკთა ჯგუფები შემოდიან ცხინვალის რეგიონში, რათა იბრძოლონ საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, მიუხედავად ქართული სამშვიდობო და სამოქალაქო პირთა შორის მსხვერპლისა ...19 საათსა და 10 წუთზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოაცხადა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, და მოითხოვა მოლაპარაკებების დაწყება, მიუხედავად ამისა გაგრძელდა ქართული სოფლების დაბომბვა, 20 საათსა და 30 წუთზე სოფელ ხეთაგუროვოდან ნაღმტყორცნებით დაიბომბა სოფელი ავნევი, 22 საათსა და 30 წუთზე ცხინვალისა და მათმიერ დაიწყო ფრისის და თამარაშენის ინტენსიური დაბომბვა, 23 საათსა და 30 წუთზე სეპარატისტებმა დაიწყეს ცხინვალის გარშემო- თამარაშენი, ქურთა განლაგებული ქართული სამშვიდობო პოზიციების მასობრივი დაბომბვა, მსხვილკალიბრიანი არტილერიით, 23 საათსა და 55 წუთზე საქართველოს შეიარაღებული ძალების არტილერიამ გახსნა ცეცხლი და ამაზე უკვე კიდევ დაწვრილებით, თუ როგორ იყო და რანაირად იყო, თქვენ კითხვებიც გაქვთ და ამაზე მოგახსენებთ. ეს იყო, პრინციპში, წუ, აქ მე გამომრჩა მეთქვა კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც კიდევ ასე ვთქვათ, მიუთითებდა, რომ რაღაც მზადყოფნა რუსების მხრიდან .ბუნებრივია, იყო და რაღაც მზადება, გაზაფხულის პერიოდში მათ დაიწყეს გაშლა სამედიცინო ბატალიონის, ჩრდილო კავკასიაში და დაიწყეს წვრთნები აღნიშნული ბატალიონის. რაც აქამდე უშუალო სიახლოვეში ქართულ, საქართველოს საზღვართან არ ხდებოდა. ყოველივე ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, ბუნებრივია, საქართველოს გაერთიანებულ შტაბში ხდებოდა გეგმების მომზადება და ხდებოდა შემდეგ ამ გეგმებში ცვლილებების შეტანა იმის- და მიხედვით თუ რა რაოდენობის ტექნიკა ტყვია-წამალი ან ცოცხალი ძალა შემოდიოდა გადიოდა და იმისდა მიხედვით თუ რა ინფორმაციას ვფლობდით. ბუნებრივია, ეს არის გაერთიანებული შტაბის ერთ- ერთი მთავარი ფუნქცია, ეს უნდა აკეთოს მუდმივად. აქ ითქვა შეტევით გეგმებზე, ჰქონდა თუ არა შეტევითი გეგმები, ვერ გეტყვით, რამდენად შეიძლება ამას დავარქვათ შეტევა. მე გეტყვით, რომ განზრახვა იმის თაობაზე, რომ... რაღაც ძალისმიერი მეთოდებით აგველო, რომელიმე, ასე ვთქვათ, სეპარატისტული ტერიტორია, არ ყოფილა ჩვენს მიერ განხილული, თუმცა, რა თქმა უნდა, თავდასხმის შემთხვევაში და პროვოკაციის, ასე ვთქვათ, საომარ მოქმედებებში გადაზრდის შემთხვევებში, ბუნებრივია, მსგავსი გეგმები კეთდებოდა. კიდევ ერთხელ რაც შეეხება უკან დახევას, უკან დახევის გეგმები გარკვეულწილად არსებობდა, თუმცა მე აქვე მინდა ვთქვა, და თქვენთვის ეს არის ცნობილი, რომ ისედაც არ არსებობდა მომზადებული ზღუდეები, უკან დასახევად იქიდან გამომდინარე, რომ, პრინციპში, მე შემიძლია გითხრათ, რომ რა თქმა უნდა, სამხედრო თვალსაზრისით იხილებოდა საკითხი, რომ რუსეთმა შეიძლება შემოუტოს საქართველოს და ეს გეგმები კეთდებოდა. თუმცა რამდენად რუსეთი მზად იქნებოდა პოლიტიკურად მიეღო ეს გადაწყვეტილება ამაში პირადად მე 7 აგვისტომდე, დარწმუნებული არ

ვიყავი და მე შემიძლია გითხრათ, რომ არათუ მარტო მე, არამედ არ იყო ამაში დარწმუნებული არც ერთი, ჩვენი მეგობარი სახელმწიფოს ან სახელმწიფოს პოლიტიკური, პოლიტიკოსი, ან დიპლომატიის... სადაც მე მისაუბრია. ყოველ შემთხვევაში, ყველა ერთხმად აცხადებდა, რომ შეუძლებელია XXI საუკუნეში, რუსეთმა გადადგას ნაბიჯი და წამოვიდეს პირდაპირ ინტერვენციაზე საქართველოს წინააღმდეგ. თუმცა მინდა გავიმეორო სამხედრო თვალსაზრისით .ბუნებრივია , გეგმები კეთდება.

თავმჯდომარე. დავით, მე დავაზუსტებ გენერალური შტაბის უფროსს, ჩვენ შევეკითხეთ პოლიტიკურ დაგეგმარებაზე, რომელიც, ალბათ, სამინისტროს უწყებაში არის, ერთ-ერთი დეპარტამენტი და ბატონმა გოგავამ თქვა, რომ გარკვეული პრობლემები, რომ პოლიტიკურ დაგეგმარების თვალსაზრისით ჩანდა და გამოდის საუბარში ეს თვითონაც აღიარა. მე მინდა გკითხოთ, თქვენ აი, ის საფრთხეები, რომელიც იქმნებოდა, რომელსაც ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც თქვენ ფლობდით, თქვენი აზრით, როგორც თავდაცვის მინისტრის აზრით, რატომ არ ხდებოდა შეფასება იმისა, მე მესმის აქ ხაზი მინდა ცალსახად გავუსვა, რომ არ იყო მოსალოდნელი ამხელა აგრესია აი, ამ კუთხით არ ვსვამ ამ საკითხს არ ვსვამ იმ კუთხით, რომ რატომ არ ხდებოდა გათვლა აი, პოლიტიკური დაგეგმარება იმ კუთხით, რომ შესაძლო სურათი განვითარების ყოფილიყო ასეთი. საუბარი არის იმ თვალსაზრისით, რომ, რეალურად, იგივე, იმ ბაზების შექმნა, რომელიც ხორციელდებოდა რაც ჩვენმა ... შს-მინისტრმა გუშინ ვიდეო და ფოტომასალით გვაჩვენა. იგივე რკინიგზის მონაკვეთის მშენებლობა, რომელიც ხორციელდებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე. რეალურად, როგორც თქვენც აღნიშნავთ ამასაც, რომ ხდებოდა ესკალაციის მომენტი, ვთქვათ, რუსეთის შეიარაღებული ძალების მხრიდან და რა თქმა უნდა სეპარატისტა დახმარებით აი, თქვენი აზრით რამ განაპირობა. მე აქ შეიძლება ეს კითხვა მე ალბათ იგივე კითხვა, რომელიც იყო დასმული აი, ზედმეტი თავდაჯერებულობის საკითხი, ხომ არ იყო ან, ვთქვათ, რა იყო ამისი მიზეზი, მე მინდა გავიგო, სწორად მინდა გაგებულნი ვიყო, აი მიზეზი იმისა, რომ შეუძლებელი არის ასეთი ოპერაცია ... რუსეთის მხრიდან

თავმჯდომარე. კარგია, რომ ... ეს იყოს შეუძლებელი

არა, გარდა, თქვენ აღნიშნეთ, რაც ეს ეხლა, იგივე ჩვენი პარტნიორ ქვეყნებზეც დაყრდნობით აი, გასაგებია აი, თვითონ დაგეგმარების თვალსაზრისით ვუსვამ ამას ხაზს.

დ.კეზერაშვილი. მოგახსენებთ. მე მინდა აღვნიშნო, რაც შეეხება საფრთხეების შეფასების დოკუმენტთან დაკავშირებით ჩვენს მიერ მისში, 2008 წლის მისში პარლამენტში და სხვა და სხვა სტრუქტურებთან გაგზავნილი იქნა დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ჩვენ ვითხოვდით ზუსტად ამ საფრთხეების დოკუმენტში ჩასწორებების შეტანას ის

თავმჯდომარე. ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციაზე საუბრობთ, ალბათ, ხომ?

დ.კეზერაშვილი. ბატონო? არა, საფრთხეების შეფასების დოკუმენტზე ვსაუბრობ ამ შემთხვევაში. ეს მოხდა იმის საფუძველზე, რაც მე აქამდე მოვყევი, რომ მათის თვემდე უკვე გარკვეული ნიშნები არსებობდა იმის თაობაზე, რომ დოკუმენტში, სადაც ჩვენ გვიწერია, რომ რუსეთთან დაბალი, ალბათობით შეიძლება რაღაც იყოს. ეს დაბალი ალბათობაც საკმაოდ შეიძლება გაზრდილიყო, ასე ვთქვათ, და ამაზე მუშაობა დაიწყო უწყებათაშორისმა ჯგუფმა, რომელმაც შემდეგ დაასრულა კიდევაც, აგერ არის, ასე ვთქვათ, ეს მუშა პროცესში.

რაც შეეხება დაგეგმარებას, მოგეხსენებათ, ბატონო თავმჯდომარე, თქვენ რამდენადაც ვიცი გარკვეული ხარტ სამხედრო თვალსაზრისით მე, პირადად ეხლა მე არ მინდა, რომ გადავიჭრა ძალიან გაერთიანებული შტაბის კომპეტენციაში, თუმცა ნებისმიერი, ესე ვთქვათ, თავდაცვითი ზღუდეების მოწყობა, მე ვგულისხმობ საპორტიფიკაციო ნაგებობების აშენებას, ტრანშეების გახსნა, გაჭრას და ბლინდაჟების გაკეთებას და ა.შ. ეს არ გაკეთდა იქიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ საქართველო, საქართველოს ტერიტორიაზე აქეთ გადმოსვლის ალბათობა იყო შეფასებული საკმაოდ დაბალი ალბათობით, თუმცა, რა თქმა უნდა, მე რაც აქამდე ვისაუბრე ეს გულისხმობს იმას, რომ ჩვენი ჯარი იყო მზად, ლოკალიზება მოეხდინა ნებისმიერი პრობლემისთვის იმ ძალებთან მიმართებაში, რომელიც იყო სეპარატისტულ ტერიტორიებზე. ჩვენ ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ იმ ჯარზე მე, რამდენადაც მივხვდი, რომელიც შემდეგ იქნა შემოყვანილი რუსეთის მხრიდან. ამას ჩვენ ნამდვილად არ ველოდებოდით, ეს შეიძლება ჩავთვალოთ ჩემს, ასე ვთქვათ, ნაკლადაც. მე არ გაურბივარ ამას, თუმცა მაშინ ჩვენ არ გავაკეთეთ, მთელი საქართველო რომ წარმოვიდგინოთ გორიდან თბილისამდე, არ ავაშენეთ საპორტიფიკაციო ნაგებობები, არ ავაშენეთ ბლინდაჟები და იგივე არ ვქენით აფხაზეთიდან ქუთაისამდე. პრაქტიკულად ეს არ გაკეთდა იმის გამო, რომ მოგეხსენებათ, მსგავსი ქმედებები ყოველთვის არის დაკავშირებული გარკვეულ პანიკასთან და ჩვენ იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ არ ვთვლიდით, რომ ესეთი რამე შეიძლება მომხდარიყო, ამიტომ ზედმეტი პანიკა, უბრალოდ, არ

შევექმნით. რაც შეეხება ჩემს მონაწილეობას უშუალოდ უკვე 7 აგვისტოდან, მე ...

თავმჯდომარე. შტაბზე რომ გაუსვათ ჯერ ხაზი, შემდგომ უკვე თქვენს მონაწილეობაზე. აი, შტაბი, რომელიც იყო ჩამოყალიბებული გორში და აი, ამ თვალსაზრისით შემდგომ ...

დ.კეზერაშვილი. კი, ბატონო. მოგეხსენებათ, ბატონმა გოგავამ ახსენა, რომ იქნა ჩამოყალიბებული რამოდენიმე შტაბი, რა თქმა უნდა, მე არც ერთ შტაბის მუშაობაში მონაწილეობა მიღებული არ მქონია, თუმცა მე გეტყვით, რომ ამას შემდეგ კიდევ უფრო გავარღმავებ, მე ვიმყოფებოდი ყველა შტაბში აბსოლუტურად და მივდიოდი რამოდენიმეჯერ, მათ შორის, მივდიოდი იმისათვის რომ...

თავმჯდომარე. რომ ოფიციალურად არ იყავით შტაბის წევრი, მაგრამ თქვენ მიდიოდით...

დ.კეზერაშვილი. არა, მე არ ვიყავი ოპერატიული შტაბის წევრი და მე არ ვიყავი ტაქტიკური შტაბის წევრი. თუმცა, მე რა თქმა უნდა, როგორც თავდაცვის მინისტრი, უნდა ვყოფილიყავი სტარტეგიულ შტაბში, რომელიც წესით უნდა ყოფილიყო თბილისში, თუმცა, დახურულ სხდომაზე მოგახსენებთ, რატომ და რისთვის რის გამო არ იყო ეს ყველაფერი. ეს იყო გორში. იქ, მე რა თქმა უნდა, უნდა ვყოფილიყავი და ძირითად ნაწილს დროის, გარკვეულ დიდ ნაწილს ვატარებდი კიდევაც იქ. თუმცა, მე ვარ ნამყოფი როგორც ოპერატიულ ისე ტაქტიკურ შტაბებში. მე იქ მივდიოდი იმისთვის, რათა მომენახულებინა საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, მომენახულებინა ოფიცრები, გავსაუბრებოდი, უბრალოდ, მათ რომ არ ეგრძნოთ ის, რომ რაღაც მიტოვებულები არ ყოფილიყვნენ, ასე ვთქვათ, იმიტომ, რომ მე ვთვლიდი ჩემს თავს ვალდებულად რომ ვყოფილიყავი გარკვეულწილად მაგ ადამიანებთან ერთად, საქართველოს ჯართან ერთად. თუმცა მე არ ვღებულობდი არანაირ გადაწყვეტილებებში არანაირ მონაწილეობას და დაგეგმარებაშიც არანაირ მონაწილეობას არ ვღებულობდი, კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა.

რაც შეეხება ჩემ ჩამოსვლას. მე ვიმყოფებოდი შვებულებაში. მე წავედი შვებულებაში 28 ივლისს და ჩამოვედი უკან 5–ში, 5–ში გამთენიას. 6 რიცხვში მე ვიმყოფებოდი სენაკში, სენაკის ბაზაზე, როდესაც მოხდა, უკვე როდესაც დაიძაბა ვითარება და დაიწყო სროლები, ინტენსიური. იქიდან ჩამოვედი მერე გორში და მთელი ამ ხნის განმავლობაში, პრინციპში, ვიყავი გორში და მიმდებარე ტერიტორიებზე.

რაც შეეხება ჩემს მოძრაობას საომარ თეატრში ან გორის ტერიტორიაზე. გუშინ ბატონმა ვანომ ახსენა კიდევ, მე ვიმყოფებოდი ჩვენს შენაერთებთან, სპეცდანიშნულების შენაერთთან, რომელიც მიდიოდა ცენტრალური მიმართულებით, რომელიც შედიოდა ცხინვალში. მე მაგ პერიოდში ვიმყოფებოდი ცხინვალის შესასვლელში. მე ვიყავი ცხინვალში კიდევ 2–ჯერ, ამის შემდეგ, მე ვიმყოფებოდი ასევე სხვადასხვა პოზიციებზე და ვნახულობდი ჯარისკაცებს, და როგორც უკვე ავხსენი ვიმყოფებოდი ასევე, საკმაოდ ბევრჯერ ვარ ნამყოფი ბრიგადების შტაბებში და სხვადასხვა, შესაბამისად სხვადასხვა შტაბებში. თუმცა, რა თქმა უნდა, ბევრ ნაწილს ასევე ვატარებდი ქალაქ გორში.

თავმჯდომარე. მე დავაზუსტებ მაშინ, ბარემ, ეს თემა რომ მოვრჩეთ. ბატონო დავით, თქვენ იძლეოდით თუ არა ბრძანებებს თვითონ, როდესაც იმყოფებოდით ცხინვალში, რაც გუშინ ბატონმა ვანომაც აღნიშნა, რომ თითქმის ერთობლივად გიწევდათ მოძრაობა ერთი და იგივე ბატალიონებში, რომელიც თქვენ აღნიშნეთ. ერეოდით თუ არა მათ, ვთქვათ, წინსვლაში ან დისლოკაციის მომენტის გამაგრებაში, სადაც ისინი . . .

დ.კეზერაშვილი. მე არც ერთხელ არ ჩავრეულვარ, უშუალოდ, არც ერთი ბრძანება არ გამიცია, უშუალოდ, სამხედრო ოპერაციის მსვლელობის, ასე ვთქვათ, რამის შეცვლის ან თუნდაც პატარა დეტალის ჩასწორების კუთხითაც კი. იმიტომ, რომ ეს არ არის ჩემი კომპეტენცია, მე არ ვარ სამხედრო, ამას ხაზს ვუსვამ, მე არ ვარ სამხედრო და შესაბამისად, უბრალოდ, ვერ მივცემდი კომპეტენტურ ბრძანებას. შესაბამისად, მე არ მიმიცია არანაირი ბრძანება, რა თქმა უნდა.

თავმჯდომარე. ბატონო დავით, აი, თქვენი მოძრაობა, როგორც ბატონმა ვანომ გუშინ გვითხრა ფაქტიურად თქვენ აღმოჩნდით თავდასხმის მსხვერპლი, დაიწვა თქვენი დაცვის თანამშრომელი და, რეალურად, ის მოძრაობები, მე თქვენი აზრი მაინტერესებს, რომელსაც თქვენ ახორციელებდით, ეს იყო ვინმესთან შეთანხმებული, ეს იყო თქვენი პირადი ინიციატივის საფუძველზე თქვენი მოძრაობები, გადაადგილებები ცხინვალთან, იგივე, ვთქვათ, . . . თუ ვინმესთან თქვენ კოორდინაციაში იყავით ამ დროს.

დ.კეზერაშვილი. არა, ეს იყო, ნუ, კოორდინაციასთან, რა თქმა უნდა, მე ვღებულობდი ინფორმაციას შესაძლებელი არის თუ არა ამა თუ იმ ადგილას მისვლა, ანუ ჩვენი მხრიდან იქამდე მისასვლელი არსებობს თუ

არა და შესაბამისად, ბუნებრივია, ის . . .

თავმჯდომარე. დაგეგმარება თქვენი იყო მოვლენებისა, ანუ ამას მინდა ხაზი გაუსვა, საით წასულიყავით.

დ.კეზერაშვილი. მოძრაობის დაგეგმარება იყო ჩემი, კი. ამას, არავინ არ მიგეგმავდა, ასე ვთქვათ, რა თქმა უნდა. თუმცა ამას ვგეგმავდი მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც ვღებულობდი შტაბში. შემდეგი კითხვა იყო, არ ვიცდი, თუ

თავმჯდომარე. აქვე დავაზუსტებ, ის კითხვები რაც იყო, იყო კითხვა დასმული იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენ, როგორც თავდაცვის მინისტრი, ხაზი გაუსვით საუბარში, რაც ბატონმა ეროსი კიწმარიშვილმა ახსენა, საუბარი არის იმაზე, რომ ჯარის სიძლიერეზე, რომ ეს არის ყველაზე ძლიერი ჯარი. ამ 4 წლის განმავლობაში ჩვენ არ გვეყოლება ჯარი და ეს იყო თუ არა საერთოდ ამაზე საუბარი და აი ამ კონტექსტში მინდა კიდევ მწვანე შეუქების ამბავი, ამას გაუუსვა ხაზი. ბატონმა ეროსიმ აღნიშნა, რომ იყო, ე. წ. პოლიტიკური ჯგუფი, ის, ასე ვთქვათ, ხელმძღვანელთა პოლიტიკური ჯგუფი. ის არ ასახელებს კონკრეტულად, თუ რა ჯგუფზეა საუბარი და რომ ეს ჯგუფი, ფაქტიურად, მისი სიტყვებიდან გამომდინარე, ახდენდა პროვოცირებას, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, ამ კონფლიქტის და მაქსიმალურად ცდილობდა, ვთქვათ, შინაარსი მისი საუბრიდან მდგომარეობს ის, რომ მაქსიმალურად ცდილობდა ეჩვენებინა სიძლიერე სახელმწიფოსი იმ ტვალსაზრისით, რომ სახელმწიფო მზადაა საბრძოლო მოქმედებებით მოაგვაროს კონფლიქტი და აგრეთვე, ხაზს უსვამდა იმას, რომ ეს პოლიტიკური ჯგუფი კოორდინაციაში იყო, პირობითად, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ვინც უმაგრებდა ამ ჯგუფს ზურგს ამასთან დაკავშირებით. თუ ესმენიათ თქვენ, საერთოდ, ასეთ თემატიკასთან დაკავშირებით, თუ იყავით ბატონ ეროსი კიწმარიშვილთან ერთად ასეთ საუბრებში იგივე, სამხედრო ბაზაზე, რომელმაც მან ხაზი გაუსვა პრეზიდენტთან ერთად და თუ იყო ეს საუბრები, ვინ იყო თქვენთან ერთად და მინდა ცალსახად ხაზი გაუსვა, აი ამ ინფორმაციის მიღების შემდგომ, რაღაც საეჭვოდ, რუსულ საიტებზე გაჩნდა . . . , თავდაცვის სამინისტროს მიერ ხდება განცხადებები, რომ იყო დაქირავებული მეომრები და მეომრები, მე ვიმახი, ინსტრუქტორები. აქ არის საუბარი ამერიკის შეერთებულ შტატებზე, ისრაელზე, საუბარი არის ჩეხეთზე, ჩეჩნეთზეც, რომ ესენი უწევდნენ ინსტრუქტაჟს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს და სპეცდანიშნულების რაზმს. ასეთი ქმედებები თუ საერთოდ განიხილება თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიაში და თუ არსებობენ აი, ახლა მე რამოდენიმე კითხვა დავსვი, მაგრამ ეს ყველაფერი მოიცავს აი, მთლიანად იმ შინაარსს ... დიახ, ბატონო...

----- ბატონო დავით, ჩემს შეკითხვას შეგახსენებთ, დაიწყო თუ არა სენაკის ბრიგადამ მოძრაობა 15 ივლისს ცხინვალის რეგიონისკენ? ეს განაცხადა ბატონმა ეროსი კიწმარიშვილმა და...

თავმჯდომარე. ბარემ ამ კონტექსტშიც რომ იყოს, საერთოდ იყო თუ არა იგივე მსჯელობებში, რომელიც და საერთოდ თუ იყო მსჯელობები, იმის ვარიანტის განხილვა, რომ ცხინვალი არის რაღაც, ვთქვათ, თვალისამხვევი, საფარი და დარტყმა მზადდება აფხაზეთის მიმართულებით. მე, თქვენ, აქ გაუსვით ხაზი, რომ 6 აგვისტოს იმყოფებოდით სენაკის ბაზაზე, რა იყო თქვენი მიზანი სენაკის ბაზაზე ყოფნის? ხომ არ იყო ეს მიზანი, რომ დაფარვა რაღაც ქმედებების და შემდგომ განხორციელება შეტევის აფხაზეთის მიმართულებით?

დ.კეზერაშვილი. კი, ბატონო. დავიწყებ მაშინ თანმიმდევრობით. მე პირადად, 2008 წლის განმავლობაში ბატონი ეროსი მყავს ნანახი სამჯერ, რამდენადაც მახსოვს და შემიძლია სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ ამ შეხვედრების დროს მე ბატონ ეროსთან არ განმიხილავს და არც არავის იქ, მე არ მსმენია, რომ განხილული ყოფილიყო რამე სამხედრო გეგმები ან მომხდარიყო საქართველოს შეიარაღებული ძალების შეფასება....

თავმჯდომარე. ბატონო დავით, თუ შეიძლება, რომ დააზუსტოთ, აი იმ, თქვენ თქვით, თუ გახსოვთ, ვინ იყო თქვენთან ერთად ამ შეხვედრების დროს, თუ გახსოვთ ეს, – პრეზიდენტი? აქ მნიშვნელოვანია ეს....

დ.კეზერაშვილი. არა, პრეზიდენტი არ მახსოვს, მე ის ვნახე ერთხელ დაბადების დღეზე, ნუ, სხვადასხვა ვითარებაში ვნახულობდი, ასე ვთქვათ, არასათათბირო ვითარებაში, მოდით, ასე ვიტყვი და მსგავსი არაფერი, ასე ვთქვათ, არ განიხილებოდა. მათ შორის, ერთხელ ვნახე იყო მოსული ჩემთან, თავდაცვის სამინისტროში, ჰყავდა მოყვანილი ჟურნალისტები, მაშინ ვნახე ზუსტად სამი წუთით და, ბუნებრივია, მაშინაც არაფერი მსგავსი არ ყოფილა. მსგავსი საუბრები ჩვენს შორის არ ყოფილა.

რაც შეეხება 15 ივლისს, მოძრაობას სენაკი მე-2 ბრიგადის დასავლეთიდან აღმოსავლეთის... მე ახლა ვერ გავიხსენებ ზუსტად, რატომ მოძრაობდა, თუმცა, მე შემიძლია გითხრათ, რომ მაგ პერიოდში მიმდინარეობდა გეგმიური წვრთნები და, მოგეხსენებათ, ყველაზე დიდი პოლიგონი საქართველოში ჩვენ გვაქვს ვაზიანში, ის, რომელიც არის თბლისთან, აღმოსავლეთ საქართველოში და, შესაბამისად, მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს მოძრაობა იყო ამ მიზეზით, მაგრამ კიდევ ერთი რაღაც. ბატონმა გივიმ ახსენა, რომ ჩვენ, და თქვენც, ბატონო

თავმჯდომარე, გამიმეორეთ, რომ ეს იყო ხმაურის ასაწევი ოპერაცია ცხინვალში, რათა მერე წავსულიყავით, თურმე, აფხაზეთში. თუ ოდნავ მაინც ადამიანი ერკვევა სამხედრო საქმეში და რამე შეხება ჰქონია ან ერთი წიგნი მაინც წაუკითხავს, ალბათ, უნდა ხვდებოდეს, რომ ასეთი გადასროლები ამხელა ბრიგადების ვერ ხერხდება რაღაცა ხმაურის ქვეშ. მე ვერ წარმომიდგენია როგორ უნდა მომხდარიყო ხმაური ცხინვალში და მერე 5 ბრიგადა გადაგვეყვანა უცბად ცხინვალიდან აფხაზეთში იმისთვის, რომ რაღაც იქ გაგვეკეთებინა. ეს არის აბსოლუტურად გაუგონარი რამე. მართლა ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება მოხდეს.

რაც შეეხება ჩემი ვიზიტის მიზანს სენაკში, ეს ბატონი ნიკა ლალიაშვილის კითხვასაც ბარემ გავცემ პასუხს, მაგ დროისთვის, მოგხსენებათ, მეორე ბრიგადაში ახალი შეცვლილი იყო ბრიგადის მეთაური. მე ჩავედი იქ მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ გავცნობოდი ადგილზე ვითარებას, თუ როგორ, რამდენად წესრიგში აქვს მას ყველაფერი. მე ხშირად დავდივარ ბრიგადებში და ბაზეზზე, რათა გავცნო ლოჯისტიკურ ან ნებისმიერ სხვა საკითხებს აქვთ თუ არა რამე პრობლემა, როგორ მიმდინარეობს წვრთნები და ა.შ. უბრალოდ იმისთვის, რომ მივიღო ინფორმაცია. ამის გამო ვიყავი მე იქ ჩასული.

რაც შეეხება 3 ბრიგადის მეთაურის შეცვლას მოგახსენებთ, ზოგად სირთულეს საქართველოს კი არა და შეიადლებული ძალების ყველაზე რთული ნაწილი არის ზუსტად ის, რომ ეს არის ერთადერთი სტრუქტურა, მე მგონი, ყოველ შემთხვევაში, ეხლა სხვა ვერ მახსენდება, რომლის პრაქტიკაში გამოსვლაც, გამოცდაც არის ან ხდება ძალიან იშვიათად ან საერთოდ არასოდეს არ ხდება. შესაბამისად, ჩვენ ვაფასებთ მეთაურებს და ხელმძღვანელებს იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოქმედებენ ისინი წვრთნებში, რამდენად მათ აქვთ იდეები განვითარების, მომავლის და ა.შ. ზუსტად ამის საფუძველზე მოხდა იმ 3 ბრიგადის მეთაურის შეცვლა. პირველი ბრიგადის მეთაურმა შეცვალა გენშტაბის უფროსმა ერაყში მისი ვიზიტის დროს, რადგან ის დარჩა უკმაყოფილო იმ მომენტისთვის ბრიგადის მეთაურის მოქმედებებით და შეიცვალა იმავე ბრიგადაში ერთ-ერთი ბატალიონის მეთაურით. რაც შეეხება მე-3 ბრიგადას აქაც შეიცვალა საკმაოდ გამოცდილი სამხედრო პირით, ოფიცრით ანუ ეს ხალხი არ არიან საიდანაღაც მოყვანილები ეს ადამიანები არიან იმავე ბრიგადებში და იმავე ნაწილებში ნამყოფი და ნამსახურევი ადამიანები, რომლებსაც, იმ მომენტში გაერთიანებულმა შტაბმა ჩათვალა, რომ უკეთესად შეასრულებენ ამა თუ იმ ამოცანას.

რაც შეეხება ზედმეტად შეფასებას საკუთარი ძალების. მე ამაში ვერ დაგეთანხმებით. ზედმეტად შეფასება საკუთარი ძალების რასთან მიმართებაში და კიდევ ვამბობ, თუ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ვიცოდით თუ არა, რომ 80 000, 40 000 რუსი 3 000 ჯავშანტექნიკით შემოვიდოდა აქ და ჩვენ ვაფასებდით, ვთქვით, ჩვენ მე ვგულისხმობ ამ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტროს მთლიანობაში, ვაფასებდით და ვთვლიდით, რომ ჩვენ ისეთი მაგრები ვართ, რომ ამას ყველაფერს ვაჯობებთ, მე ამას ვერ მოგახსენებთ, ეს ესე არ ხდება. ყველაფრის შეფასება საქართველოს გაერთიანებულ შტაბში თავდაცვის სამინისტროში ხდება აბსოლუტურად რეალისტურად იმ ვითარებებიდან გამომდინარე, რა ვითარებაც არის.

რაც შეეხება კიდევ ერთი რამ, ბატონო ნიკა, თქვენ გუშინაც ახსენეთ, რომ ბრიგადები არის ძალიან დამძიმებული, დახუნძლული და რთულადმანევრირებადი, მე მინდა გითხრათ, რომ ისინი არ არიან ძალიან დამძიმებულები და დახუნძლულები, რომ ეს არის, ეს არის ნატოს სტანდარტით გაკეთებული სისტემა. მე კიდევ ერთხელ ვამბობ, მე არ მინდა შევავასო სამხედრო თვალსაზრისით რამე მე არ ვარ სამხედრო. მე უბრალოდ შემძლია დავყვარდნო ამ შემთხვევაში სამხედრო, ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო ექსპერტებს, რომლებიც ხშირად სტუმრობენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მათი აზრიც არის ის, რომ ჩვენი თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სტრუქტურა არის სწორი. თუმცა რეფორმირება, რა თქმა უნდა, მიმდინარეობს და ნებისმიერი ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიმდინარეობს მსჯელობა იმის თაობაზე, როგორ გარდაიქმნას და რანაირად გაკეთდეს ისე, ასე ვთქვათ. რაც შეეხება უცხოელი, ისრაელის ან ამერიკის ან, რა ვიცი, ვიღაც ჩეხეთის ინსტრუქტორების მონაწილეობას ომში, მე მსგავსს ვერაფერს ვერ დაგიდასტურებთ, ადგილი ... ღამეს არ ჰქონია, საერთოდ იმ მომენტისთვის იქ არ იმყოფებოდა არც ერთი უცხოელი. და დაგეგმარებაში არ ღებულობდა, მით უმეტეს, არ ღებულობდა არც ერთი რამე სახის ოპერაციის დაგეგმვაში მონაწილეობას.

თავმჯდომარე. არ გაგიციათ პასუხი ერთ საკითხზე. აი, მეც, შეიძლება გამოგრჩათ, საუბარი არის იმ პოლიტიკურ ჯგუფზე, რომელსაც ბატონმა კიწმარიშვილმა აღნიშნა.

დ.კეზერაშვილი. ხო, დიახ.

თავმჯდომარე. ძალიან გთხოვთ, რა.

დ.კეზერაშვილი. უკაცრავად. ხო, ეგეც მოვისმინე, რომ ბატონმა ეროსიმ ახსენა რაღაც პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც, რომელმაც მიიღო რაღაც მწვანე ნიშანი საიდლანაც ვაშინგტონიდან. მე მინდა გითხრათ, რომ მე,

პირადად ვიმყოფებოდი ვაშინგტონში მარტში, არანაირ მწვანე ფერზე ან მწვანე შუქებზე საერთოდ საუბარი არ ყოფილა და მე საერთოდ არ მსმენია რამე სახის მწვანე შუქების ანთებაზე ან ჩაქრობაზე რამესთან მიმართებაში.

თავმჯდომარე. რეკომენდაციები, რომელიც იყო შეერთებული შტატებიდან.

დ.კეზერაშვილი. შესაბამისად, ეს ეხება რეკომენდაციებს. არანაირი რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ საქართველომ უნდა დაიწყო რაღაცა მოქმედებები ან არ დაიწყო მოქმედებები არსაიდან არ მოსულა. და, ასე ვთქვათ, ეს არის საქართველოს შიდა საქმე დაიცავს თავს თუ არ დაიცავს. და შესაბამისად არსებობს საქართველოში სტრუქტურა, ორგანო უშიშროების საბჭო, რომელიც ღებულობს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ მოქმედებასთან დაკავშირებით, ვგულისხმობს სამხედრო თვალსაზრისით. შესაბამისად, ამ სტრუქტურამ და ამ ორგანომ, მიიღო გადაწყვეტილება ყოველგვარი ან გარეშე ნიშნების გარეშე, ასე ვთქვათ. ბატონო ეროსის საიდან აქვს ეს ინფორმაცია არ ვიცი, ვერ გეტყვით. თუმცა მე არ მინდა შეფასებად რომ გამოვივიდეს, მაგრამ, არ მინდა შეფასებად გამოვივიდე. მაგრამ მინდა, აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ბატონი ეროსის განცხადება ერთი ერთში იმეორებს, ასე ვთქვათ, რუსეთის გაერთიანებული შტატის და პოლიტიკური წრეების განცხადებებს. განცხადება რომელიც მან გააკეთა რუსულ ენაზე, საერთოდ, ასე ვთქვათ ...თავის თავში გულისხმობს მე მგონი ნაკლებ მისახვედრია, რასთან გვაქვს საქმე.

თავმჯდომარე. ბატონო დავით, ქალბატონ ხათუნასშეკითხვა.

ხ.გოგორიშვილი. ბატონო დავით, რამდენიმე შეკითხვა მაქვს თქვენთან. პირველი შეკითხვა მდგომარეობს იმაში, რომ როგორ მოხდა თქვენი ინფორმაცია მაინტერესებს ამასთან დაკავშირებით, სამხედრო მოქმედებების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და თქვენი მონაწილეობა ამ გადაწყვეტილების მიღებაში. ეს არის პირველი შეკითხვა. მეორე. პრესის ფურცლებზე სამხედრო მოქმედებების და ბრძოლის დამთავრების შემდეგ გამოჩნდა, ესე იგი, სამხედრო ექსპერტების გარკვეული შეფასებები, მე ამ შემთხვევაში არა ვარ ჩახედული ამ საქმეში, მაგრამ ერთი რაც არც კი ვიცი, რომ ამდენი სამხედრო ექსპერტი იყო საქართველოში, მაგრამ, ერთი რაც ხშირად მხედებოდა თვალში ფრაზა, ეს გახლავთ შემდეგი, მე უბრალოდ წავიკითხე რომ: "კოორდინაცია და ურთიერთქმედება სამხედრო სტრუქტურებს შორის არ იყო ეფექტური და ეს იყო პრობლემა". ანუ, მე მაინტერესებს, რამდენად კოორდინირებული და ურთიერთშეთანხმებული იყო ის ქმედებები, რომელსაც სხვადასხვა სამხედრო შენაერთები და დანაყოფები აწარმოებდნენ. აქვე მეორე საკითხი, რომელსაც პრესაში ხშირად იყო და ჩვენ ამ მოწვეულ სხვა სტუმრებსაც შევეკითხეთ, ეს არის კავშირგაბმულობის პრობლემა, რომ სერიოზული ზიანი მიაყენა იმან, რომ არ იყო დახურული კავშირის სისტემა, არ მუშაობდა და ძირითადად ხდებოდა მოზილური ტელეფონებით ინფორმაციის გაცვლა სამხედრო თანამდებობის პირებს შორის. მესამე შეკითხვა შეეხება უკვე, როდესაც მოხდა ჩვენი სამხედრო შენაერთების უკან დახევა, იყო თუ არა კონკრეტული მითითებები და კონკრეტული ბრძანება სამხედრო ტექნიკასთან, როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონოდათ და უნდა დაეტოვებინათ. გაენადგურებინათ და საერთოდ ამ სამხედრო ტექნიკის დატოვებასთან დაკავშირებით. მინდა თქვენი პოზიცია მოვისმინო. და ბოლო შეკითხვა, თუ ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ეხლა, თუ არადა დახურულ სხდომაზე, როგორი არის ზარალი, რაც ამ საომარი მოქმედების შედეგად მიადგა ჩვენს შეიარაღებულ ძალებს. გმადლობთ.

თავმჯდომარე. გოკა გაბაშვილს, ბატონ მინაშვილს, ბატონი თედორაძე.

გ.გაბაშვილი. ბატონო დავით, პირადად ჩემში ექვს არ იწვევს საქართველოს უფლება დაიცვას საკუთარი თავი, როცა მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარები შემოდიან, და არა მგონია, ვინმეში იწვევდეს ეს ექვს, მაგრამ არის რაღაც ტიპის შეკითხვები, რომელიც ისმება, როგორც საერთაშორისო საზოგადოებაში, ასევე საერთაშორისო მედიაში და მაინტერესებს, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ ამ საკითხებთან დაკავშირებით. საქმე ეხება, ეგრეთ წოდებულ, "დისკრიმინინგ შელინგს და სიველიან თარგენთინგს" ანუ განურჩეველი სროლა საქართველოს მხრიდან და სამოქალაქო ობიექტების მიზანში ამოღებას ჰქონდა თუ არა ადგილი. ჩვენი სამხედრო მოქმედებების დროს, რა ტიპის, ვთქვათ, რა ტიპით და რა კრიტერიუმებით შეირჩეოდა ჩვენი საცეცხლე მიზნები და ჰქონდა თუ არა მკაფიო ინსტრუქტაჟი ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს ან უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ ან მანამდე, არის თუ არა თავდაცვის სამინისტროს მიერ რაიმე ასეთი ტრენინგი, მწვავე სამხედრო მოქმედებების დროს, როგორ მოექცნენ სამოქალაქო მოსახლეობას.

ა.მინაშვილი. მე გავაგრძელებ ბატონი გოკას კითხვას, ეს კითხვა ბევრს აინტერესებს, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებს, კასეტურ ბომბებთან დაკავშირებით. ვიცით ყველამ, რომ გამოყენებული იყო, როგორ იყო გამოყენებული და ხომ არ დაირღვა ეს საერთაშორისო პრინციპები, რაც ამ კასეტურ ბომბებთან დაკავშირებით არსებობს და ასევე სატანკო შეტევები სამოქალაქო შენობებზე. ამაზეც ბოლო დროს დაიწყო საუბარი, რომ გამიზნულად ხდებოდა სატანკო შეტევა სამოქალაქო მოსახლეობაზე. არის თუ არა ეს მართალი. მეორე კითხვა მე მინდა დაგისვით, დაღუპულების და ტყვეების თაობაზე, თუ

თქვენ შეგვიძლია მონაცემები მოგვაწოდოთ ამასთან დაკავშირებით, და რაც შეეხება ტყვეებს, დღეს რა მდგომარეობაა. კიდევ ერთი საკითხი, რაც ასევე ექსპერტებიდან მომდინარეობს. თუ ჩავთვლით ეს არის, თითქოს არის საუბარი იმაზე, თითქოს ქართული არმია არ იყო მზად კონვენციური თავდაცვისათვის და ქართული არმია მომზადებული იყო უფრო მცირე ზომის ოპერაციებისთვის ან გენბავთ, ანტიტერორისტული ოპერაციებისთვის და არა მძიმე, ეს კონვენციური საბრძოლოა. და კიდევ ერთი კითხვა ეხლა, რაც ეხება რუსულ არმიას, თქვენ ჩამოთვალეთ აქ რუსული შეიარაღებული ძალების დანაყოფები, რომლებიც გადმოვიდნენ შეტევაზე. მე, უბრალოდ, მაინტერესებს კითხვა, როგორც არაპროფესიონალს, რა დრო და ვადა სჭირდება, რათა ეს დანაყოფი, სამხედრო დანაყოფი მოვიდეს სრულ საბრძოლო მზად-ყოფნაში. არის თუ არა საკმარისი, რომ 2 დღეში ამა თუ იმ შენაერთმა დაიწყო სრულყოფილი შეტევა ამა თუ იმ ტერიტორიაზე. დიდი მადლობა.

ლ. ვეფხვაძე. ერთ მარტივ კითხვას დავსვამ. ყველამ იხილა კადრები ქართულმა ტელეარხები, ქართული ტელეარხები რატომღაც მან ხშირად აჩვენებდა ამ რეაქტიული დანადგარის სროლის კადრებს ქართულ რეაქტიულ დანადგარზე, გრადზე თუ მოდერნიზებულ გრადზე, არ ვიცი, ზუსტად, რა იყო გამოსახულ., კითხვა მარტივია, რა იზომებოდა აი ამ დანადგარებით, ცხინვალში?

დ. კეზერაშვილი. გაგცემთ პასუხს. შეიძლება. დავიწყებ თუ შეიძლება ...

თავმჯდომარე. ბატონო დავით, ბოდიში, კიდევ ერთი კითხვა ბარემ ...

რ. თედორაძე. ბატონო დავით, თქვენ ბრძანეთ, რომ ე.ი. მოხალისეების ინტენსიური შემოდინება ხდებოდა ივლის-აგვისტოში ჩრდილო კავკასიიდან, ამასთან კულახმეტოვი, იგივე პოტკოვი აცხადებდნენ, რომ ვერ აკონტროლებდნენ სეპარატისტების მოქმედებას და ხომ არ იყო ამ ... მცდელობა იმისი, რომ თვითონ ამ მოხალისეების, ეგრეთ წოდებული, საშუალებით მოეხდინათ ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდა და მერე რუსეთი კვლავ ჩამდგარიყო შუაში, როგორც მშვიდობისმყოფელი და სწორედ, ჩვენ არმიის მოქმედების შემდეგ გახდა იძულებული რომ თავისი სახე გამოეჩინა და დაეწყო ის ფართომასშტაბიანი შეტევა, რომელიც განხორციელდა უკვე 10-ის შემდეგ.

დ. კეზერაშვილი. კი, ბატონო. შეიძლება. პირველ რიგში, დავიწყებ, ე.ი. უშუალოდ ბრძანების.... ქალბატონო ხათუნა, თქვენი კითხვა იყო და ჩემი მონაწილეობა ამ ბრძანებაში. მე მოგახსენებთ, 6 რიცხვიდან, როდესაც დაიწყო აი ეს პროვოკაცია, ასე ვთქვათ, იზრდებოდა და მწვავედებოდა სულ უფრო და უფრო, ბუნებრივია რომ ხდებოდა მუდმივი კავშირი, ასე ვთქვათ, სტრუქტურებს შორის ისევე როგორც ბუნებრივია, ჩემს და პრეზიდენტს შორის, ჩვენ ვახსენებდით მას არსებულ ვითარებას, თუ რა იყო და როგორ იყო. 2 საათზე, როდესაც 7-ში 2 საათზე უკვე დაიწყო ავნივის დაბომბვა ხეთაგუროვოდან და ჩვენს სამშვიდობოებს დაეღუპა ჯარისკაცები და დაიჭრა ხალხი და მე მაშინაც ბუნებრივია, მუდმივად ვახსენებდი, მანამდე იყო შეკრებილი უშიშროების საბჭო, ის ხალხი იყო ვინც, ასე ვთქვათ, შეიძლება ვერ გავიხსენო, ის იმყოფებოდა მაგ მომენტში საქართველოში დაახლოებით, და მანდაც მოხდა ინფორმაციის მიწოდება, სრული ინფორმაციის მიწოდება, თუ რა მდგომარეობა იყო. შემდეგ, რაც ბუნებრივია, კონტაქტი იყო მუდმივად, მე ვიმყოფებოდი გორში, ცეცხლის შეწყვეტის გამოცხადების შემდეგ და ის როგორც ვითარდებოდა მოვლენები, თქვენ იცით რომ იქიდან ოსური მხრიდან არ შეწყვეტილა ცეცხლი და გრძელდებოდა დაბომბვა და ა.შ. დაახლოებით, 11-12-ის 10 წუთი იყო, მე მქონდა საუბარი პრეზიდენტთან, სადაც კიდევ ერთხელ მე მოგახსენე ის მდგომარეობა, თუ რა მდგომარეობა იყო ირგვლივ, როდესაც მან მითხრა, გამაცნო თავისი პოზიცია ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომ ამის გაძლება უკვე შეუძლებელია. მაშინ ჩვენ მივიღეთ კიდევ დამატებითი ინფორმაცია კოლონების შემოსვლის შესახებ როკის გვირაბში. ეს ინფორმაცია, ბუნებრივია, პრეზიდენტს მოხსენდა და გამაცნო თავისი პოზიცია იმის თაობაზე, რომ მას უნდა გაეცა ბრძანება გაერთიანებული შტაბის უფროსისთვის. რა ბრძანება იყო ეს, თქვენ მოგახსენათ გაერთიანებული შტაბის უფროსმა. აქვე, ამაშივე არის, მე ვფიქრობ, პასუხი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ საქართველოს შეიარაღებული ძალები სამოქალაქო პირებთან მიმართებაში, იმიტომ, რომ ამ სამ ბრძანებაში ერთ-ერთი პუნქტი იყო სწორედ, ეს, რომ მინიმალური მსხვერპლი, მინიმალური ზიანი სამოქალაქო პირების მიმართ ყოფილიყო და, მე ვფიქრობ, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ეს ამოცანა სწორედ რომ კარგად შეასრულეს. მაქსიმალურად იქნა დაცული სამოქალაქო მოსახლეობა, როგორც საქართველოს, ანუ ეთნიკურად ქართველები, ისე ეთნიკურად ოსები და ყველა ეთნოსის წარმომადგენელი, რომელიც იქ იყო.

-----ბატონო დავით, დიდი ბოდიში, რომ გაწყვეტინებთ. ამ თემასთან დაკავშირებით, თქვენი და პრეზიდენტის საუბართან დაკავშირებით იმიტომ, რომ თქვენ თქვით, რომ პრეზიდენტი როცა გესაუბრათ, მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ეს, ამ სამპუნქტიანი, ასე ვთქვათ, ბრძანების ...

დ. კეზერაშვილი. არა, მე არ მითქვამს, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა. მან ჩემს მიერ მიწოდებული ინფორმაციის

საფუძველზე მითხრა მისი პოზიცია, ...გადაწყვეტილება.

-----იმიტომ, რომ პრეზიდენტმა....

დ.კეზერაშვილი. და მე დავეთანხმე მის პოზიციას.

-----ჰო, პრეზიდენტმა ერთ-ერთ გამოსვლაში ასეთი ფრაზა იხმარა, ეს იყო, თუ არ ვცდები, გაფართოებული ბიუროს სხდომა აგვისტოს ბოლოს, რომ, ციტირებას ვახდენ, რომ კეზერაშვილი მუხლებში ჩამივარდა, მეხვეწებოდა, რომ საპასუხო ცეცხლი გამახსნევინე, ვერ გამომყავს ჩემი ბიჭებიო. ეს რამდენად შესაბამეა სინამდვილეს, ასეთი საუბარი.

დ.კეზერაშვილი. ნუ, მსგავსი ფაქტი, მსგავსი რამ, ბუნებრივია, იყო, იქიდან გამომდინარე, რომ მე ვლებულობდი ინფორმაციას, რომ ჩვენი სამშვიდობოები ილუპებთან და თავისთავად, მუხლებში ჩავარდნას ამას მე ვერ დავარქმევდი. მე, უბრალოდ, ვუთხარი, რომ, თუ შეიძლება, მე ვავხსნი ცეცხლს იმ კონკრეტული ადგილის მიმართულებით, სადანაც ჩვენ გვესროდნენ. იმიტომ, რომ, მოგეხებებოდა, ნებისმიერ მაგ დროს მუშაობს სადაზვერვო ჯგუფები და ჩვენ ვიცოდით დაახლოებით, სად იმყოფებოდნენ ის ნაღმტყორცნები განლაგებული ხეთაგუროვოში, რომელიც, მე ვითხოვე, რომ თუ შეიძლება, მოგვეცით საშუალება, რომ არტილერიით გავეუსხნა ცეცხლი და ჩავახშო მოწინააღმდეგის ცეცხლი და გამოვიყვანო დაჭრილები და მივიღე, შესაბამისად, ის პასუხი, რომელიც მივიღე, ეს იყო.

და რაც შეეხება 12 საათზე, 12-ის წუთებზე ჩემთან ზარს... ეს არ იყო გადაწყვეტილება, ეს იყო პოზიცია და მე გამოვხატე ჩემი პოზიცია ამასთან დაკავშირებით, მე დავეთანხმე, რომ მოთმენა და მოცდა უკვე შეუძლებელი იყო და ამას მე თუ ვგნებავთ მოგვიანებით ავიხსნი, თუ ვგნებავთ ეხლავე ავიხსნი, იმ რაოდენობის ჯარის შემოსვლის პირობებში, რომელიც შემოდიოდა როკის გვირაბით (წყდება) ისე და ისე, ბატონო თავმჯდომარე, ვინც ხართ, რა ვიცი, ვინც ერკვევით ამ სამხედრო საქმეში შემოყვანა ჯარის არ არის მხოლოდ საკმარისი. ჯარი უნდა გაიშალოს როდესაც შემოდის ამა თუ იმ ტერიტორიაზე. ჩვენ თუ დავაგვიანებდით, იყო საფრთხე იმისა, რომ ეს ჯარი გაიშლებოდა. მე ვშიშობ, რომ ეს ვერ გაიშლებოდა მხოლოდ ოსეთის ტერიტორიაზე, იქიდან გამომდინარე, რომ იყო საკმაოდ დიდი რაოდენობის ჯარი, მათ მოუწევდათ აქეთ გადმოსვლა. და აქვე იყო კითხვა იმის თაობაზე ემუქრებოდა თუ არა ჩვენს მოქალაქეებს საფრთხე, ბუნებრივია ემუქრებოდათ, იმიტომ, რომ ბოლო ინფორმაცია, რომელიც მე წავიკითხე იყო ის, რომ ოსების მიერ დაიწყო ქართული სოფლების დაბომბვა. და თუ შემოვიდოდა ეს ჯარი, გაშლიდა თავიანთ არტილერიას და თქვენ ნახეთ. რა სახის არტილერიაზე იყო საუბარი, ამას გაშლიდა და დააყენებდა პოზიციებზე. მე შემეძლია გითხრათ, რომ ჩვენ არათუ ოთხდღიანს, არამედ ჩვენ შეიარაღებულ ძალებს შეიძლება დამუქრებოდა საფრთხე ადგილზე განადგურების და საერთოდ დაუცველი დარჩებოდა ყველაფერი. რაც შეეხება კავშირგაბმულობას, ქალბატონო ხათუნა, სამწუხაროდ, კავშირგაბმულობასთან დაკავშირებით ჩვენ გვექონდა პრობლემები, თუმცა მე მინდა გითხრათ, რომ ეს პრობლემები არ იყო ბრიგადის დონეზე. ბრიგადის მეთაური და ბრიგადის შტაბი დახურული კავშირით, იმიტომ, რომ ჩვენ შექმნილი გვაქვს ყველაზე თანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებები მსოფლიოში. ამ კავშირგაბმულობას იყენებს დღესდღეობით ამერიკის შეერთებული შტატები ერაყში და ნატოს ძალიან ბევრი წევრი ქვეყანა ავღანეთში. ეს არის ჰარისის სისტემა, რომელსაც აქვს როგორც დახურული ისე ღია სიხშირით, რომელიც ადამიანზე აღჭურვილი არის, ეგრეთ წოდებული, ჰოპინგის სისტემით ანუ მოხტუნავე სიხშირით, რომლის დაჭერაც არის, პრაქტიკულად, შეუძლებელი, თუმცა მისი ჩახშობა არის შესაძლებელი. მე ვერ გეტყვით, რამდენად რუსეთის მხრიდან იქნა გამოყენებული მსგავსი ჭურვები, რუსეთის შეიარაღებას აქვს გარკვეული საავიაციო ჭურვები, რომლებიც გახეთქვის შემთხვევაში, გარკვეულწილად, გარკვეული დროის მანძილზე ახშობს კავშირგაბმულობას გარკვეულ ტერიტორიაზე. პრობლემები იყო მაღალ დონეზე, ამას მე ვერ დავმაღავ, სამწუხაროდ, ეს ესე იყო, ამის გამო კავშირგაბმულობის დეპარტამენტში მოხდა საკადრო ცვლილებები. ამის გამო ჩვენ კიდევ უფრო მეტ ადამიანს ვაზღავნით, ასე ვთქვათ, შესაბამის ცენტრებში ...მიიღონ მეტი განათლება, და მეტად აითვისონ ეს სისტემები, სამწუხაროა, მაგრამ მსგავსი პრობლემები და მსგავსი ...ხარვეზები კავშირგაბმულობასთან ჩვენ გავაჩნდა, ...მე ვერ ვიტყვი, რომ რაღაც იქ 80% ბრძანებების გაიცემოდა მობილურით, ეს ასე არ იყო. ... ის იმყოფებოდა გორში, იმან იცის და დამეთანხმება მობილური ტელეფონები მაგ პერიოდში საერთოდ არ მუშაობდა. და თუ ჩვენ ვიყავით მხოლოდ მობილური ტელეფონის იმედად, მაშინ ეს გამოდის, რომ საერთოდ ვერანაირი ბრძანებები ვერ გაიცემოდა. ეს ასე არ არის. იყო სერიოზული ხარვეზები. ამას მე ვაღიარებ. ...სამოქალაქო პირებთან დაკავშირებით მე მოგახსენეთ, თუმცა მინდა ერთი რამ აღვნიშნო, რომ თვითონ ამ ცხინვალის ტერიტორიაზე რთული იყო, ჯერ ეს ერთი, გაყვანილი იყო მართლა ძალიან დიდი ნაწილი სამოქალაქო მოსახლეობის თვითონ ოსურ მხარეს, ეთნიკური ოსების და რუსების, ვგულისხმობ, გაყვანილი იქნენ ტერიტორიიდან და მამაკაცები, რომლებიც იყვნენ დარჩენილები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, იყვნენ ჩაცმულები სამოქალაქო ტანსაცმელში, ეგრეთ წოდებული, "აპალჩენცები" გარკვევა იმისა იყვნენ სამოქალაქოები, თუ სამხედროები ხშირ შემთხვევაში, იყო რთული. და მე შემეძლია მოგიყვებოდა, მაგალითად, ერთი ასეთი ინციდენტიც მოხდა, თუ არ ვცდები, ეს იყო 8-ში, როდესაც ...9-ში დილას, როდესაც ერთ-ერთი კუთხიდან სახლიდან გამოვიდა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული მამაკაცი, ახალგაზრდას ხელები ჰქონდა აწეული, მას ეცვა სპორტული პიჟამო, ასწია ხელი ჩვენმა სამხედროებმა და შესაბამისად,

შეწყვიტეს ცეცხლი და მის ზურგს უკნიდან გამოვიდა რამოდენიმე ადამიანი, რომელმაც გახსნა ჩვენი სამხედროების მისამართით ცეცხლი და რამოდენიმე ჩვენი ჯარისკაცი დაიღუპა კიდეც. ამაზე მაგალითი მომყავს იმისათვის, რომ თქვენ გქონდეთ ზოგადი წარმოდგენა, რამდენად რთული იყო გარკვევა ბანდფორმირებებს შორის და სამოქალაქო პირებს შორის, ვინ ვინ იყო. იმისათვის რომ მომხდარიყო სამოქალაქო პირების გამოყვანა ცხინვალისა და ქალაქ ცხინვალისა. მე ვიცი, რომ თქვენ ეს კითხვები დაუსვით კიდეც ბატონ გიგი უგულავასაც, მოხდა 3-საათიანი ფანჯრის გაკეთება და გუმინ ბატონმა ვანომაც ახსენა ეს, მოხდა ფანჯრის გაკეთება ერგნეთის მიმართულებიდან და ყველას მიეცა საშუალება 3 საათის მანძილზე გამოსულიყო მოქმედების თეატრიდან. ზოგმა ისარგებლა ამით, ზოგმა არ ისარგებლა. ეს იყო იმისა და მიხედვით, ვინ როგორ გადაწყვიტა. რაც შეეხება მომზადებას კონვენციური ომებისათვის, სამწუხაროდ, გარკვეულწილად ეს ასე იყო, თქვენ მოგახსენებთ, 20 წლის განმავლობაში თითქმის ყველა ომი, რომელიც ხდება მსოფლიოში არის არაკონვენციური, არის ძირითადად "დეტეს" ანტიტერორისტული. შესაბამისად, ჩვენი ჯარი, რომელიც მზადდებოდა ერაყში წასასვლელად, ის მზადდებოდა ტერორიზმთან საბრძოლველად და შესაბამისად, მათი წვრთნის დიდი ნაწილი, მე კიდეც მინდა ვთქვა, ეს არ გულისხმობს, რომ ჩვენ საერთოდ არ ვემზადებოდით ამისთვის, თუმცა მათი წვრთნის დიდი ნაწილი იყო, ბუნებრივია, ანტიტერორისტული ბრძოლებისთვის მზადება.

რაც შეეხება კონცეფციაში, ეს არის, გმადლობთ... მითითებული. რაც შეეხება გადაადგილების დროს, კარგი კითხვა დასვა, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს, რამდენად სწრაფად შეეძლოთ გადაადგილება, ასე ვთქვათ, თავიანთი დისლოკაციის ადგილიდან საქართველოს საზღვრამდე, მსგავსი რაოდენობის ჯარის გადაადგილებას დასჭირდებოდა დაახლოებით 6-7 დღე. თუ ვიმსჯელებთ იმისა და მიხედვით, თუ რამდენი დრო სჭირდება იმას, რომ ჯარის მობილიზება მოხდეს, შემდეგ მოხდეს აღჭურვილობის ასხმა, შემდეგ ჩასხდომა ტრანსპორტში და შემდეგ წამოსვლა სამანქანო გზით, საკმაოდ რთულ რელიეფზე, გუმინ ბატონმა ვანომ მოგახსენათ, მე მგონი, მასშტაბი კოლონების რამ სიგრძე იყო და საიდან სადამდე იჭიმებოდა ეს კოლონები და თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრონეტექნიკა, ტანკები, მით უმეტეს, ვერ დადის 30-35 კილომეტრ საათში მეტი, შეგვიძლია გადავთვალოთ, რამდენი დრო დასჭირდებოდათ მათ მოსასვლელად. ეს კიდეც ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ისინი იყვნენ მზად, ყოველ შემთხვევაში, მათი ნაწილი. თუმცა, მე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ 9-ში, როდესაც დღევანდელი რუსეთის პრემიერ-მინისტრი ჩაფრინდა ვლადიკავკაზში მანდ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ გადმოსროლილიყო კიდეც დამატებით შენაერთები, რომლებიც შემდეგ უკვე 12-ში, 13-ში, 14-ში და 15-ში შემოდიოდა საქართველოს ტერიტორიაზე. ეს იყო ის შენაერთები, რომლებიც გამოვიდა უკვე იგოეთთან და გავიდა ხაშურამდე, ეს მოხდა იქიდან გამომდინარე, რასაც ჩვენ უკვე ომის შემდეგ ვგებულობდით ან რუსი სამხედროებისგან, ეს იყო იმით განპირობებული, რომ 58-ე არმია პრაქტიკულად, იყო, პრაქტიკულად გავიდა იმიტომ, რომ დაიჭრა მათი მეთაური, იყო დემორალიზებული და აქედან გამომდინარე, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დამატებითი ძალები შემოეყვანათ. ამით იყო განპირობებული ის, რომ მათ საფრენ აპარატებზე ძირითადად იჯდნენ თითქმის პენსიონერები, მაგალითად, ერთ-ერთი პილოტი, რომელიც ჩვენ ჩაგვივარდა ტყვედ, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, იყო 53 წლის. თანამედროვე ჯარში 53 წლის პილოტებს, როგორც წესი, საბრძოლო ღონისძიებებზე არ უშვებდნენ ხოლმე და მან თვითონ თქვა შემდეგ, რომ ის გამოიწვიეს რეზერვიდან და გამოიწვიეს, სხვათა შორის, ერთი კვირით ადრე ომამდე და არა უშუალოდ ომის დროს.

რაც შეეხება "გრადალარის" მოქმედებას, "გრადალარი" და მსროლელი არტილერია გამოყენებული იქნა მხოლოდ და მხოლოდ როკის გვირაბიდან ჯავამდე. ჩვენ არ ვიყენებდით ამ არტილერიას ცხინვალის წინააღმდეგ. ჩვენ არ გავვისვრია არც ერთი ჭურვი მაგ მიმართულებით. ეს იყო მხოლოდ გამოყენებული, კასეტური ბომბებია, კიდეც ერთხელ დავაზუსტებ. ეს არის კასეტური ბომბები. ეს იყო გამოყენებული მხოლოდ და მხოლოდ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის და ბრონეტექნიკის წინააღმდეგ და მე შემიძლია ვთქვა, რომ აღნიშნულმა სისტემებმა ძალიან დიდი ზიანი მიაყენეს მოწინააღმდეგეს. ეს შემდეგ გაირკვა ასევე და სწორედ ეს გახდა, ხშირ შემთხვევაში, მიზეზი იმისა, რომ ისინი, მათ უბრალოდ, ვერ გაშალეს თავისი ჯარი იმ სისწრაფით და იმ გეგმის მიხედვით, რომელიც მათ ჰქონდათ. რა ვიცი, მე მგონი...

თავმჯდომარე. ქალბატონი ხათუნას შეკითხვა კიდეც ერთი.

ბ.გოგორიშვილი. ბატონო დავით, ორი შეკითხვა იყო, რომელიც შეიძლება თქვენ მიზანშეწონილად თვლით დახურულ ნაწილზე თქვათ. უბრალოდ, მე შეგახსენებთ, ეს არის უკან დახევისას და ზარალი, რომელიც... .

დ.კეზერაშვილი. დიახ, კი ბატონო, ამაზე თუ შეიძლება, მე მოგახსენებთ მოგვიანებით, როდესაც სხდომა დაიხურება, თუმცა აქ მე შემიძლია ვთქვა საზოგადოებისთვის, იცოდნენ, რომ ეს არ იყო უკან გამოქცევა არც ერთ შემთხვევაში. ეს იყო უკან დახევა. ეს იყო გააზრებული გადაწყვეტილება და ეს გააზრებულად უკან დახევა. დეტალებს შემდეგ... .

თავმჯდომარე. სანამ, ბატონო გოკა, თქვენ დასვით და ტყვიებზე მთელი ბლოკია და მერე ბარემ ერთად

დავუსვათ.

გ.გაბაშვილი. ბატონო დავით, თქვენ ეხლა ბრძანეთ, რომ და აგვიხსენით კიდევაც, ჩვენ არ ვართ ეხლა ამ საქმის სპეციალისტები, როცა ჯარი შემოდის იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც ის შემოდის. შემდგომ ის აუცილებლად გაიშლება, ნუ, ეს ბუნებრივია, არასპეციალისტისთვისაც ეს გასაგებია. ბატონმა ვანომ გუშინ გვითხრა, რომ პირველი ჩვენი იერიში კოლონაზე, ანუ პრეზიდენტის ბრძანებიდან გამომდინარე, რომ შეაჩერეთ რუსული კოლონა, პირველი იერიში კოლონაზე განხორციელდა ჩვენი ავიაციის მეშვეობით, განხორციელდა დიდი გუფთის ხიდთან,

დ. კეზერაშვილი. კი, ბატონო.

გ.გაბაშვილი. გავანადგურეთ ჩვენ კოლონა. დავუსვათ, . . . რომ გავიგოთ, დიდი გუფთის ხიდთან, რომ არ შეგვეჩერებინა ჩვენ რუსული კოლონები, რა გზები ჰქონდათ, ვთქვათ, დიდი ზარის გზის და ქართულ სოფლებზე გამოვლის გარდა, რა გზები ჰქონდათ და ტანკები ლოგიკურად, რელიეფის მხრივ, უფრო რომელ გზას აირჩევდნენ.

დ. კეზერაშვილი. ისინი, სავარაუდოდ, წამოვიდოდნენ, ჩემთვის ეხლა რთულია გითხრათ, რა ლოგიკას აირჩევდნენ, ამ შემთხვევაში, რუსი სამხედროები, თუმცა თქვენ სწორად აღნიშნეთ, იქ არის ორი გზა ქართულ სოფლებზე და . . . თუმცა ისინი შეიძლება წამოსულიყვნენ, ვერ გეტყვით, შეიძლება წამოსულიყვნენ ქართული სოფლების გავლით და ამას მოჰყვებოდა, ბუნებრივია, დიდი მსხვერპლი ქართულ სოფლებზე. თუმცა, საბოლოო მიზანი მათი იყო შემოსვლა ცხინვალში და დახვედრა, ასე ვთქვათ, ჩვენი საჯარისო შენაერთების იმ ხაზზე, სადაც ჩვენ ვიყავით. რომელ ხაზს აირჩევდნენ ამისთვის, ძნელი სათქმელია. კიდევ ერთხელ ვამბობ, შეიძლება მათ მიეღოთ გადაწყვეტილება, წასულიყვნენ ქართულ სოფლებზე.

თამეჯდომარე. დიახ, ბატონო გივი. ბატონი ნიკა ჯერ.

გ.თარგამაძე. თუ შეიძლება, კიდევ ერთი თემა, რომელიც იყო სერიოზული განხილვის საგანი გენერალურ შტაბთან, თქვენი კომენტარის გვანტერესებს, რეზერვისტთა მოქმედებებთან დაკავშირებით.

დ. კეზერაშვილი. კი, ბატონო, ეგ საკმაოდ მტკივნეული თემაა ჩემთვის. რაც შეეხება რეზერვს, მე შემიძლია გითხრათ, რომ, სამწუხაროდ ჩემთვის, სამწუხაროდ ჩემთვის, ამ პროგრამამ ვერ იმუშავა. ამაში არსებობს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. მოგახსენებთ, ეს პროგრამა არის საკმაოდ ახალი, ასე ვთქვათ, მე ვერ ვიტყვით, რომ ეს არის უცხო სხეული, მაგრამ ახალი. გაერთიანებული შტაბისთვის ეს იყო, ასე ვთქვათ, პილოტური პროგრამა, რომელიც მუდმივად იხვეწებოდა, ასე ვთქვათ, ყოველ ნაკადთან ერთად ჩვენ ვაკვირდებოდით, რა შეიძლება ყოფილიყო ამის ხარვეზები და ვხვეწავდით. მაგალითისთვის შემიძლია გითხრათ, რომ თავიდან იყო გადაწყვეტილი, რომ ჩვენ უნდა მოგვეზადებინა წელიწადში 25 000 რეზერვისტი, 5 წლის მანძილზე, თუ არ ვცდები, კანონში ასე წერია. თუმცა, მეორე წლიდან ჩვენ ანუ 2008 წელს ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ჯერ გადაგვეზადებინა ის შენაერთები, რომელიც მომზადდა 2007-ში, რაც ნაწილობრივ ასეც მოხდა. იცით თქვენ, ალბათ, მოხდა მეორედ გაწვევა ბატალიონების და ბრიგადების უკვე 8-დღიან გადამზადებაზე. თუმცა, ანალიზის შედეგად, რომელიც მე, და ჩვენ, გავაკეთეთ ომის შემდეგ რეზერვთან მიმართებაში, აღმოჩნდა, რომ ეს დრო არ იყო საკმარისი მათ მოსამზადებლად. სამწუხაროა, რომ უშუალო მენეჯმენტმა, უშუალო მენეჯერებმა, ვისაც ეს ეხებოდა ამ შემთხვევაში, - კიდევ ერთხელ, მე არ მინდა, ვინმემ გაიგოს, რომ მე ვინმეს რამეს ვაბრალებ, მე არავის არაფერს არ ვაბრალებ, ამაში არის ჩემი გარკვეული დანაშაულიც, თუ გნებავთ, - ვერ მოახერხა სწორი მენეჯმენტი რეზერვისტების უშუალოდ კონფლიქტის დღეებში. ეს იყო დაბნეულობა და ეს იყო არაორგანიზებულობა. თუმცა, ამას აქვს თავისი გარკვეული ობიექტური მიზეზიც. ეს გახლავთ ოფიცრების სიმწირე გვარდიაში. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის გვარდიის დეპარტამენტს არ აღმოაჩნდა საკმარისი ოფიცრები, არ აღმოაჩნდა საკმარისი ოფიცრები იმისათვის, რათა ემართათ ამხელა მასა შეიარაღებული ადამიანების, რომლებიც იყვნენ საკმაოდ გამოუცდელი. მანდ იყვნენ, ნაკლებობა იყო, როგორც სერჟანტების, ასევე ოფიცრების, სამწუხაროდ, თუმცა მოგახსენებთ, რომ კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არის 5-წლიანი პროგრამა და ჩვენ გვქონდა ბუნებრივია, დაგეგმილი მას შემდეგ, რაც მოხდებოდა საქართველოს რეგულარული არმიის შევსება ოფიცრებით და სერჟანტებით და უნდა მომხდარიყო შემდეგ უკვე გადამზადება ანდა მომზადება ანდა რომლებიც ჩაირიცხებოდნენ გვარდიაში და უკვე იქნებოდნენ, ასე ვთქვათ, და ეს ხერხემალი შეივსებოდა გვარდიის, თუმცა ჩვენ ეს არ დაგვცალდა. აქ იყო რაღაც, მახსოვს იყო საუბრები ლოჯისტიკასთან დაკავშირებით, იგივე რეზერვისტებთან მიმართებაში, მე მინდა ვთქვა, რომ პრინციპში ლოჯისტიკის კუთხით პრობლემები ნაკლებად იყო.

თამეჯდომარე. ერთი წუთით" ბატონო დავით, რაღაც ხმა არ გადის უკვე პირდაპირ ეთერში. გთხოვთ

ტექნიკურ მხარეს, უნდა შევწყვიტოთ, ტექნიკურად გავარკვიოთ. ბატონო დავით, შეგიძლიათ გააგრძელოთ.

დ.კეზერაშვილი. შეიძლება? ლოჯისტიკური კუთხით მაინცდამაინც დიდი ხარვეზები არ ყოფილა, თუმცა მოგეხსენებათ,ს როდესაც არის საომარი ვითარება და წინა ხაზზე იმყოფება საქართველოს შეიარაღებული ძალების თითქმის სრული პირადი შემადგენლობა, პირადი შემადგენლობა სრულად.

თავმჯდომარე. რომელიც ... უფროსმა, პრინციპში, აღნიშნა ის პრობლემები, რაც იყო...

დ.კეზერაშვილი. კი, ბატონო, თუ გნებავთ, მე არ გავაგრძელებ ამ პრობლემებზე.

-----რეზერვისტებთან დაკავშირებით , ერთი კითხვა მაქვს.

თავმჯდომარე. დააზუსტეთ და მერე ბატონ დიმიტრის ...

-----ბატონო დავით, თუ გაქვთ ინფორმაცია ამ ორი-სამი წლის განმავლობაში, რამდენი რეზერვისტი იქნა მომზადებული ბიუჯეტიდან ამ პროგრამაზე ,რამდენი რა თანხა დახარჯული?

დ.კეზერაშვილი. ორი წლის განმავლობაში, მე შემიძლია გითხრათ, რომ 2006 წელს მომზადებული იქნა დაახლოებით რვა ათასი რეზერვისტი, თუმცა მე ახლა არ გამომივიდეს კრიტიკად ,ასე ვთქვით, მაგრამ ეს მაინცდამაინც სწორი შერჩევით არ იყო და მე მაშინ ვერ გეტყვით როგორ, რამდენი თანხა დაიხარჯა. 2007–2008 წლებში მომზადებული იქნა 35 000 რეზერვისტი, აქედან 25 000 იქნა გადამზადებული და დახარჯული იქნა დაახლოებით 50 მლნ ლარი, ოღონდ არამხოლოდ მომზადებაში. მე მინდა ხაზი გავუსვა, მე ვგულისხმობ შეიარაღებას, აღჭურვილობას და ყველაფერს ერთად.(ხმა ადგილიდან). და ბაზებს, რა თქმა უნდა, ინფრასტრუქტურას. მთლიანობაში ამ პროგრამაზე რამდენი დაიხარჯა.

თავმჯდომარე. ბატონო დიმიტრი.

დ.ლორთქიფანიძე. ბატონო მინისტრო, ბატონო დავით, რამოდენიმე შეკითხვა მექნება. რახან რეზერვისტებზე იყო საუბარი, რეზერვისტებით გავაგრძელებ. თქვენ შეგიძლიათ შემოიფარგლოთ მოკლე და კონკრეტული პასუხებით, ვინაიდან არსებითი ხასიათის კითხვებს დაგისვამთ კონკრეტულ პირებთან დაკავშირებით.

პირველი. მაინტერესებს, ვინ იყო პასუხისმგებელი თანამდებობის პირი თავდაცვის სამინისტროში საომარ პირობებში რეზერვისტების მობილიზაციისა და მათი საბრძოლო-საომარ ვითარებაში ჩაბმასთან დაკავშირებით? უშუალოდ, კონკრეტულად თანამდებობის პირი. ეს არის პირველი შეკითხვა.

მეორე. თქვენ, ალბათ, ადევნებდით თვალყურს ჩვენს გამოკითხვებს, როდესაც აქ ერთ-ერთი რესპოდენტი ბრძანდებოდა, ბატონი ვლადიმერ ვარძელაშვილი, პრეზიდენტის რწმუნებული, რომელსაც მე დავუსვი პირადად შეკითხვა, რომ ჩვენი ინფორმაციით 8 აგვისტოს, დილით, გორის საარტილერიო პოლკის პლაცზე განვითარდა რაღაც გარკვეული ტიპის კონფლიქტი. მე დავასახელე კონკრეტულად 3 გვარი, ოფიცრის, 3 ბატალიონის მეთაურის გვარი. ხომ არ გიწარმოებიათ მათთან რაიმე ტიპის სამართლებრივი ხასიათის მოქმედებები, ხომ არ დაინტერესებულხართ ამ პირებით, ხომ არ გამოგიძახებიათ ან შესაბამის უწყებებს ხომ არ ჰქონიათ მათთან გასაუბრება და შეგიძლიათ დაადასტუროთ ან უარყოთ თუ არა ამ კონფლიქტთან დაკავშირებული დეტალები? ეს მეორე შეკითხვა.

მესამე შეკითხვა უკავშირდება თქვენს მიერ აღნიშნულ იმ გარემოებას, რომ გუშინ წარმოადგინა, მოგეხსენებათ, ბატონმა ვანო მერაბიშვილმა ვიდეოინფორმაცია, რომლის კადრები შეიცავდა მეტად შემზარავ ფაქტებს. საუბარია ტაქტიკური რაკეტების გამოყენებაზე რუსი ოკუპანტების მხრიდან, საშუალო რადიუსის "ტოჩკა უ" და "ისკანდერის" ტიპის რაკეტების გამოყენებაზე. თქვენ ბრძანეთ, რომ ამის შესახებ ინფორმაციას ფლობდით. მე მინდა შეგეკითხოთ, როდესაც აქ გენერალური შტაბის უფროსი, ბატონი ზაზა გოგავა მობრძანდა მას ამასთან დაკავშირებით არავითარი განცხადება არ გაუკეთებია.

დ.კეზერაშვილი. . . .ინფორმაციას რის შესახებ? უკაცრავად, თუ შეიძლება.

დ.ლორთქიფანიძე. ინფორმაციას, კონკრეტულად იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რაც წარმოდგენილი იყო ბატონი ვანო მერაბიშვილის მიერ. მე უბრალოდ, მაინტერესებს, ეს არის შინაგან საქმეთა უწყების მიერ მოპოვებული ინფორმაცია, თუ თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის ან კონტრდაზვერვის ქვედანაყოფების მიერ მოპოვებული ინფორმაცია.? ვინაიდან სამხედრო თემატიკას შეეხება ეს ინფორმაცია

უბრალოდ, მაინტერესებს თქვენი უწყების მიერ იქნა მოპოვებული?

დ.კეზერაშვილი. კადრებს გულისხმობთ, ამ შემთხვევაში?

დ.ლორთქიფანიძე. რა თქმა უნდა, კადრებზეა საუბარი, რომელიც ჯავის ხეობაში იქნა გადაღებული იქ.

დ.კეზერაშვილი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოპოვებულია ეს კადრები.

დ.ლორთქიფანიძე. არა, მე არ დამისრულებია, უკაცრავად, დავასრულებ.

დ.კეზერაშვილი. დიახ.

დ.ლორთქიფანიძე. ამასთან მინდა შეგეკითხოთ, ღიადაც დავსვი მე ეს შეკითხვა მედიას საშუალებებით, თქვენც გკონდათ „ალბათ, შესაძლებლობა, თუ არა, მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ. თავდაცვის სამინისტროს შენობის ევაკუაციასთან დაკავშირებით იყო თუ არა წინასწარ, განხორციელდა თუ არა წინა წარმოდგენილი გეგმის საფუძველზე ვინ გასცა ბრძანება ამ ევაკუაციისა. აი, ამასთან დაკავშირებითაც მინდა შეგეკითხოთ.

დ.კეზერაშვილი. კი, ბატონო.

დ.ლორთქიფანიძე. დიახ.

თამაზჯღომარე. დავამატებ შეკითხვას თუ მერე ჯობია.

-----ესე იგი, ბატონო დავით, თქვენ ახსენეთ ნატოს სტანდარტები და, რა თქმა უნდა, ეს ძალიან მისასალმებელია. მე პირადად ვიცი, რომ ამ მიმართულებით, ასე ვთქვათ, ეფექტიანი ნაბიჯები იდგმება ჩვენ შეიარაღებულ ძალებში. მაგრამ აი, ჩემთვის სრულიად გაუგებარია დღემდე აი, რატომ, მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედებების ალბათობა მუდმივად იზრდება, მით უმეტეს, ბოლო თვეებში, რატომ არ იყო ჩამოყალიბებული მუდმივი სტრუქტურა ოპერაციების, სარდლობა....რაც სწორედ ნატოს სტანდარტებით ძალიან მიღებული, ასე ვთქვათ, სტრუქტურა გახლავთ. ეს არის რის გამოც, ასე ვთქვათ, იმის გამო, რომ ასეთი სტრუქტურა არ არსებობდა, ფაქტიურად არ იყო ორგანო, რომელიც ავტომატურად ჩაუდგებოდა ოპერაციის უშუალო მომზადებას და განხორციელებას. ასევე მაინტერესებს, იყო თუ არა წინასწარი ბრძანება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ოპერაციის ხელმძღვანელი, ეგრეთ წოდებული, ჯოინდ თასქ ფოს კომანდირი, რომელიც უშუალოდ იქნებოდა პასუხისმგებელი საბრძოლო ოპერაციების დაგეგმვაზე და წარმოებაზე.

დ.კეზერაშვილი. დიახ.

----- და კიდევ ერთი საკითხი მაქვს ასევე ნატოში მთელ რიგ ქვეყნებში მიღებული გახლავთ, ეგრეთ წოდებული, ნუ ბრძოლაში ჩაბმის წესები. არსებობდა თუ არა რაიმე მსგავსი, ვთქვათ, ინსტრუქტაჟი ან ინსტრუქცია მომზადებული თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩვენი სამხედრო მოსამსახურეებისათვის. და კერძოდ, თქვენ ბრძანეთ, რომ, რა თქმა უნდა, თქვენ არ გასცემდით სამხედრო სახის შენობებს, მაგრამ აი, ეს საკითხი, რაზეც მე მინდა ეხლა გკითხოთ სცილდება სამხედრო სფეროს, ეს უფრო პოლიტიკური საკითხი გახლავთ და მაინტერესებს იყო თუ არა თქვენს მიერ გაცემული რაიმე სახის მითითება გაერთიანებული შტაბის უფროსის მისამართით, რათა მას მოეხდინა ქვედანაყოფების მეთაურობამდე და პირად შემადგენლობამდე უმკაცრესი ბრძანების დაყვანა, რათა ისინი არ შესულიყვნენ საბრძოლო კონტაქტში რუს სამშვიდობო ძალებთან, რაც შემდგომში რუსული პროპაგანდისტული მანქანის მიერ გამოყენებული იქნებოდა, ასე ვთქვათ, რეგულარული ძალების ოპერაციაში ფართომასშტაბიანი ჩართვის გამართლებისათვის.

დ.კეზერაშვილი. კი ბატონო, შეიძლება. პირველი დავიწყებ, დავიწყებ თუ შეიძლება კონფლიქტით საარტილერიო ბრიგადის პლაცზე, სამწუხაროდ, მე ამის შესახებ, არ მსმენია არაფერი,მე ვიცი, რომ იქ იმ მომენტში, როდესაც იყვნენ რეზერვისტები შეკრებილები იმ ტერიტორიაზე ცოტა მოშორებით ჩამოვარდა რამოდენიმე ჭურვი მე თვითონ ვიმყოფებოდი მაგ მომენტში იქ ახლოში და ეს იყო რომ მე ვიცი, თუმცა იქ თუ რამე იყო მე აუცილებლად დავინტერედები ამით და მოვიკითხავ მოგვიანებით მოგაწვდით ინფორმაციას ამის შესახებ.

რაც შეეხება ვინ არის პასუხისმგებელი საომარი პირობების, საომარი ვითარების დროს მობილიზაციაზე რეზერვისტების, ამისთვის არსებობს გვარდიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა,

რომელიც ამაზე არის პასუხისმგებელი, რომელიც თავის მხრივ ბრძანებას ღებულობს გაერთიანებული შტაბიდან. რაც შეეხება რეზერვისტების ბრძოლაში ჩაბმას ან ამა თუ იმ პოზიციის დაკავებას ამაზე ბრძოლის დროს ბრძანებას გასცემს უშუალოდ ოპერაციის, ოპერაციის ხელმძღვანელი ზუსტად ის ხელმძღვანელი რომელზეც, თქვენ მკითხეთ იყო თუ არა დანიშნული იყო დანიშნული? რა თქმა უნდა.

მე რამდენადაც ვიცი ბატონმა ზაზამ მოგახსენათ კიდევაც ამის შესახებ, ბატონ ბალახაძე, დანიშვნის ბრძანება ზოგადად როდესაც არის განგაში NI როდესაც გამოიციმა მსგავსი ბრძანება, კეთდება ოპერატიული ბრძანება, რომელშიც გაშლილია ყველაფერი ის, რაც არის გასაკეთებელი, ვინ როგორ ინიშნება, ვინ როგორ მოქმედებს, ვინ სად მიდის და ასე შემდეგ. ეს რა თქმა უნდა, იყო გაკეთებული. ეს დოკუმენტი არის საიდუმლო. თუმცა, რა თქმა უნდა, მე ვიცი, რომ თქვენ გაქვთ, ასე ვთქვათ, უფლება, რომ გამოითხოვოთ ეს დოკუმენტი და ჩვენ თავდაცვის სამინისტრო, გაერთიანებული შტაბი, დარწმუნებული ვარ, პრობლემის გარეშე მოგაწვდით ამ ინფორმაციას.

რაც შეეხება რატომ არ იყო ომამდე შექმნილი? ... ეს იქმნება უშუალოდ საბრძოლო ოპერაციების დროს. უბრალოდ, არსებობს ხერხემალი, არსებობს ადამიანების სახელები და გვარები, ვინ შეიძლება დანიშნოს ამ თუ იმ დროს და უშუალოდ დანიშნა და ამის შექმნა ხდება უშუალოდ ოპერატიული ბრძანებით, რომელიც გამოიციმა უშუალოდ, საბრძოლო მოქმედებების დაწყების დროს ან სამშვიდობო ოპერაციის დაწყების დროს, ან ნებისმიერი ოპერაციის დაწყების დროს სამშვიდობო და ჩვეულებრივ რეჟიმში მსგავსი, მსგავსი სტრუქტურა არ არსებობს. კიდევ თუ, თუ არ ვცდები

-----თავდაცვის სამინისტროს ევაკუაცია . . .

დ.კეზერაშვილი. ჰო, რაც შეეხება მე შემიძლია გითხრათ, რომ, რა თქმა უნდა, ასეთი რამ არსებობს, ჩვენი საჯარისო ქვედანაყოფები ნებისმიერ ოპერაციაზე წასვლის დროს, მათ შორის, ერაყშიც, ამას ეცნობოდნენ. და ზუსტად მე იგივე სამოქალაქოებთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, ძირითადი ნაწილი საქართველოს შეიარაღებული ძალების, გაწვრთნილია სწორედ ერაყისთვის, სადაც პირველი, ნომერ პირველი, ასე ვთქვათ, ამოცანა არის სამოქალაქო პირების გადარჩენა და მათი დაცვა და, შესაბამისად, მათ ეს კარგად შეასრულეს აქაც.

რაც შეეხება ბრძანებას რუს სამშვიდობოებთან მიმართებაში, დიახ, ბრძანება იქნა გაცემული იმის თაობაზე, რომ არ უნდა, მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო თავი არიდებული უშუალო კონტაქტში შესვლისგან რუს სამშვიდობოებთან. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობდა რუსი სამშვიდობოების მიერ ცეცხლის გახსნას საქართველოს შეიარაღებული ძალების მისამართით და, ზუნებრივია, ეს არ გულისხმობდა იმას, რომ მათ უნდა ესროლათ, დაეხრათ ჩვენი ბიჭები და ჩვენ, თურმე, იქ არაფერი არ უნდა გვექნა. ტყუილად ისინი არ უნდა დაბომბილიყვნენ. თუმცა, ბატონმა ვანომ გუშინ ახსენა, მინდა აქვე აღვნიშნო, რომ როდესაც რამოდენიმე წუთში, მე შემიძლია ვთქვა, ოპერაციის დაწყებიდან, რუსი სამშვიდობოების ტერიტორიიდან, უშუალოდ ცხინვალში გაიხსნა ცეცხლი 120-მილიმეტრიანი ნაღმტყორცნებით. შესაბამისად, როდესაც ეს არ შეწყდა არასოდეს და ისინი ამას აგრძელებდნენ, საკმაოდ წარმატებულად, სხვათა შორის, იმიტომ, რომ იგივე ის ინციდენტი ჩემს, ასე ვთქვათ, დაცვის უფროსთან დაკავშირებული, ეს იყო მაქედან, მოგეხსენებათ, ზემო ნიქოზიდან, პრაქტიკულადა, ცხინვალში შესასვლელია. იქედან კარგად ჩანს თვითონ ცხინვალი, კარგად ჩანდა, თუ საიდან მოდიოდა საარტილერიო სროლა, საარტილერიო ცეცხლი. ჰო, და, ძალიან ხშირ შემთხვევაში, გმადლობთ, აი, ახლა გამახსენეს, ცეცხლის კორექტირებას აკეთებდნენ სწორედ რუსი სამშვიდობოები, რომლებიც იყვნენ წინ წამოწეულები და, ასე ვთქვათ, იდგნენ უშუალოდ სახე – სახესთან ჩვენს პოზიციებთან და, შესაბამისად, ზუსტად აძლევდნენ იმ კოორდინატებს, სად უნდა მომხდარიყო ამა თუ იმ არტილერიით გასროლა. და ნაღიარებიც არის ეს ასე. თუმცა, თვიდან ეს განზრახვა, რომ რუს სამშვიდობოებთან არ უნდა მომხდარიყო არანაირი შეტაკება, ეს იყო, არსებობდა.

თამეჯდომარე. ბატონო დავით, თქვენ გამოგრჩათ კითხვა ბატონი დიმიტრის. ბატონო დიმიტრი, დააზუსტეთ მაშინ.

დ.ლორთქიფანიძე. პირველი კითხვა დაკავშირებული იყო იმ ინფორმაციებთან, რომელიც გუშინ მოვისმინეთ და მოხდა ვიზუალურად... დიახ, ვიდუიონფორმაციასთან დაკავშირებით. და მეორე, თავდაცვის სამინისტროს ევაკუაციასთან დაკავშირებით.

დ.კეზერაშვილი. დიახ, რაც შეეხება ინფორმაციას "ისკანდერებს" და "ტოჩკა უ"-ზე, ჩვენ გავიგეთ ეს მას შემდეგ რაც პირველი ჭურვები ჩამოვარდა საქართველოს ტერიტორიაზე. მანამდე პირადად მე, ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ არ ვიცოდი.

რაც შეეხება ამ, კადრებს, ეს კადრები მოპოვებული იქნა მოგვიანებით. ეს არის, ბატონმა ვანომ, თუ არ ვცდები,

გუშინ ახსნა კიდევაც, ეს კადრები მოპოვებული იქნა, ეს გადაღებული არის რუსი ჯარისკაცის მიერ, თუმცა როდესაც ეს ვნახეთ, ჩვენ დავინტერესდით და ბატონმა ვანომ ესეც თქვა, რომ არსებობს გადაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ ამ სროლებს ესწრებოდნენ გარკვეული ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებსთვისაც კეთდებოდა დემონსტრირება. შესაბამისად, წინასწარ ჩვენ იმის ინფორმაცია, რომ "ისკანდერს" გვესროდნენ არ გვქონდა.

რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს ევაკუაციასთან დაკავშირებით. მაგ პერიოდში იქ არსებობდა დაცვის, შენობის დაცვის, ასე ვთქვათ, ხელმძღვანელობა, რომელიც იცავს თავდაცვის სამინისტროს და პასუხისმგებელია ყველაფერზე და მათ მიერ იქნა გაცემული, თუმცა მე ვფიქრობ, რომ . . . იქნა გაცემული ბრძანება თავდაცვის სამინისტროს ევაკუაციასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარე. გენერალური შტაბის უფროსმა აღნიშნა, რომ ის, ესლა გახდა ცნობილი, რომ დაცვის პირების მიერ იყო გაცემული ბრძანება ევაკუაციასთან დაკავშირებით, გენერალური შტაბის უფროსმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მოკვლევა ამ საკითხებთან დაკავშირებით. თუ არის დადგენილი, ამ მოკვლევით დამთავრებულია თუ არა, რატომ ე.ი. დაცვის პასუხისმგებლობა თუ დადგა, შენობის დაცვის უფროსის და რა უფლებამოსილება ჰქონდა მას ასეთი ღონისძიებისგაკეთების?

დ.კეზერაშვილი. მას, როგორც ასეთი, ასეთი მსგავსი ბრძანების გაცემის უფლება გააჩნდა, თუმცა ეს გარკვეულ შემთხვევებში ხდება, როდესაც არ არსებობს ზემდგომი ხელმძღვანელობა, რომელმაც შეიძლება მიიღოს ეს გადაწყვეტილება ანუ ვისთანაც შეიძლება მან ეს შეათანხმოს. ამ შემთხვევაში ესეთი ხელმძღვანელობა არსებობდა და მას ეს უნდა შეეთანხმებინა. ეს ადამიანები არიან დროებით კადრების განკარგულებაში გადაყვანილები. მე რაც შემიძლია, ჯერჯერობით, ის, რაც მე ვიცი, შემიძლია გითხრათ ის, რომ რასაც ისინი ხსნიან, ეს იყო, უბრალოდ, პანიკა.

თავმჯდომარე. ბატონ გაბაშვილს და ბატონ ვეფხვაძეს.

გ.გაბაშვილი. ბატონო დავით, ჩვენ მივირეთ ასეთი ინფორმაცია, რომ ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები, რომლებმაც, პირველივე შეფასებით, ეფექტურად იმუშავეს იმიტომ, რომ რამოდენიმე რუსული თვითმფრინავი იქნა ჩამოგდებული. გვაქვს ესეთი ინფორმაცია, რომ მერე რაღაც ნაწილი ტექნიკისა მწყობრიდან გამოვიდა. ან ღია ან დახურულ რეჟიმში თუ მოგვასხენებთ

თავმჯდომარე. კი, დახურული რეჟიმი შეიძლება...

დ.კეზერაშვილი. შეიძლება, მაგაზე მოგახსენებთ დახურულ რეჟიმში, მე, უბრალოდ, მინდა ვთქვა აქვე, მე მინდა, უბრალოდ, საჯაროდ ვთქვა, მაღლობა მოვუხადო ყველა იმ ბიჭს, რომლებიც ამ შემთხვევაში იყვნენ ყველაზე გამოუცდელები იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში საჰაერო თავდაცვის ჯარი, თუ გნებავთ შეიქმნა სულ რამოდენიმე 2 წლის წინ, 2 წელიწადნახევრის წინ, და მათ აბსოლუტურად ყოველგვარი პრაქტიკული გამოცდილების გარეშე მოახერხეს 15 თვითმფრინავის ჩამოგდება მოწინააღმდეგის, რაც არის დამერწმუნეთ ძალიან ბევრი, და თუ ავიღებთ ბოლო 30 წელს, მსგავსი ფაქტი არ მომხდარა 2 დღეში. მათ შორის, 1 სტრატეგიული გავანადგურეთ ბომბდამშენი "ტუ-22".

გ.გაბაშვილი. სწორედ ამიტომ, ვინაიდან ჩვენ ყველას გვაქვს ამ კომისიაში დაშვება...

დ.კეზერაშვილი. კი. რა თქმა უნდა, დაშვება . . . დიდი სიამოვნებით.

გ.გაბაშვილი. მე თხოვნა სამომავლო . . . გეთქვათ,

ლ.ვეფხვაძე. ბატონო დავით, მე ისევ თავდაცვის სამინისტროს შენობას მინდა დავუბრუნდე, აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ პრობლემა შექმნა. ევაკუაცია იმ კონტექტში, რომ ეს ადამიანები ევაკუაციის შედეგად წავიდნენ, მარჯანიშვილის მეტროში ჩავიდნენ ..

დ.კეზერაშვილი. ეთანხმებით.

ლ.ვეფხვაძე. და იქ მოსახლეობაში გამოიწვია ამან პანიკა. მე მინდა გკითხოთ: მართალია, რომ თავდაცვის სამინისტროს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის შემთხვევაში, ბუნკერი არა აქვს ქვეშ იმისათვის, რომ პირადმა შემადგენლობამ შეაფაროს თავი? აი, ასეთ ...

დ.კეზერაშვილი. თუ შეიძლება, მერე მოგახსენებთ.

თავმჯდომარე. კი, ბატონო.

ლ.ვეფხვაძე. ამაზე დახურული თემა?

თავმჯდომარე. დიახ. ბატონ მინაშვილს,

დ.კეზერაშვილი. მე მგონი, რომ არ ღირს, ყველამ იცოდეს რა შესაძლებლობები აქვს თავდაცვის სამინისტროს შენობას ამ შემთხვევაში.

ამინაშვილი. ბატონო დავით, მე სრულად გეთანხმებით ერთ საკითხში, როცა ეს თქვენ ახსენეთ, რომ ეს არის სტრუქტურა, სადაც არ ხდება ადამიანის ტაქტიკაში გამოცდა, თუმცა საზოგადოებაში არის ძალიან ბევრი კითხვა თუნდაც იმ წინასწარ კვლევებში, რაც ჩვენ ჩავატარეთ, იმასთან დაკავშირებით თუ რატომ არ იყო გამოყენებული, რატომ არ იყვნენ აფხაზეთისა და ოსეთის 90-იან წლებში ჩართული ადამიანების, ვეტერანების რესურსი და ასევე, ავღანეთში პრაქტიკაგამოვლენილ ადამიანების რესურსი და ხომ არ წაადგებოდა ეს ქართულ არმიას გამოცდილების კუთხით. არის თუ არა ეს მართალი ეს ინფორმაცია?

დ.კეზერაშვილი. არ იყო გამოყენებული და რა თქვით ბატონო?

თავმჯდომარე. ბატონო დავით, მე დავამატებ ერთ შეკითხვას, ესეც საზოგადოებიდან ... შეკითხვა მოსული, შეესაბამებოდა თუ არა თავდაცვის სამინისტროს მიერ 2004-2008 წლებში წარმოებული შეიარაღების პოლიტიკას საქართველოს სტრატეგიულ მიზნებს და ტაქტიკურ ამოცანებს, შეიარაღების შესყიდვაზე და შეგიძლიათ დახურულ სხდომაზე ისაუბრაოთ ამაზე, შეგიძლიათ...

დ.კეზერაშვილი. ორივეს ვიზამ თუ შეიძლება. პირველი არის, რომ შეეხება ვეტერანებს, მე მინდა ვეტერანის, ადამიანის რომლებსაც აქვთ მიღებული მონაწილეობა აფხაზეთის, ოსეთის და ავღანეთის ომებში, კი ბატონო, პირველ რიგში მე მინდა ვთქვა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში არის საკმაოდ ადამიანები, რომლებსაც აქვთ ეს მაგრამ ისინი, ვინც არ არიან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში პროფესიული არმიის კონცეფცია ზოგადად არ ითვალისწინებს საომარი ვითარების დროს გარედან პირობითად მოყვანას ადამიანების რაც არ უნდა გამოცდილები იყვნენ, მაგისტრის არსებობს რეზერვი, მაგისტრის არსებობს სამობილიზაციო, ასე ვთქვათ, სამსახურები, მაგ დროს ხდება მობილიზება ყველა იმ გამოცდილი მეომრის თუ ჯარისკაცის თუ გენბავთ ოფიცრის, რომელიც არის დაკავებული მაგ დროს სხვა საქმიანობით ჩვეულებრივ დროს. ამ შემთხვევაში ეს არ მომხდარა იქიდან გამომდინარე, რომ ამის საჭიროება ზოგადად არ იდგა, იქიდან გამომდინარე, რომ ამ ადამიანების მოყვანით შეიძლება მომხდარიყო კიდევ უფრო მეტი არეულობა ვიდრე ხშირ შემთხვევაში ჩვენ ეს ვიხილეთ.

რაც შეეხება შეიარაღებას, დიახ მე მინდა, უბრალოდ, გითხრათ და გაგახსენოთ რომ 2004 წლამდე საქართველოს შეიარაღებული ძალების არსებობაზე საუბარი, მე მგონი, ცოტა, ასე ვთქვათ, გადაჭარბებულია, თუ გადავხედავთ იმ მასალებს და დოკუმენტებს რომელიც შემორჩა და რომელიც, ასე ვთქვათ, აკეთებდნენ მაშინ და ადგენდნენ, შეიძლება ვნახოთ, რომ საერთოდ არაფერი არ არსებობდა და შესაბამისად, ბუნებრივია, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლება დაიწყო პრაქტიკულად ნულიდან და შესაბამისად, ყველაფერი კეთდებოდა ისე ნაბიჯ-ნაბიჯ და დიახ, ეს სრულად აკმაყოფილებდა და შეესაბამებოდა საქართველოს სტრატეგიულ მოთხოვნვნილებებს. თუმცა, გარკვეული სირთულეები შესაძლებლობებთან დაკავშირებით არსებობდა, მე ამაზე მოგახსენებთ დახურულ სხდომაზე: შესყიდვები არ ხერხდებოდა ხშირ შემთხვევაში ისე მარტივად, როგორც შეიძლება, ასე ვთქვათ, ჩაუხედავ ადამიანს წარმოედგინოს. თუ რა სირთულეები იყო, ამას, უბრალოდ, მერე მოგვიანებით მოგახსენებთ.

ბატონო დავით, თქვენ და ბატონი ვანო იყავით 7-ში დღისით გორში შტაბში, სადაც გენერალურმა შტაბმა წარმოგიდგინათ გეგმა, თქვენ წელან თქვით, რომ ესეთი გეგმები ბევრი არსებობდა გენერალურ შტაბში, ოღონდ იმისდა მიხედვით ხდებოდა კორექტირება, რა სავარაუდო მოწინააღმდეგეზე იყო ლაპარაკი, აი მეორე გეგმაში რომელიც თქვენ ნახეთ, რა სავარაუდო მოწინააღმდეგეზე იყო ლაპარაკი. ეს იყო საჯარისო დანაყოფები, რომელიც ეგრეთ წოდებულ სეპარატისტებს ჰყავდათ თუ იქ უკვე თქვენ ამის გათვლას ახდენდით იმ საჯარისო შენაერთების სავარაუდო შენაერთების შემოსვლის შემთხვევაში, რომელიც რუსული მხრიდან შემოვიდა.

დ.კეზერაშვილი. აბსილუტურად გათვლა ხდებოდა იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც იმ წამისთვის

გაგვანდა უფრო სწორად გააჩნდა გაერთიანებულ შტაბს და ადამიანებს, რომელიც ამას გეგმავდნენ, ბუნებრივია, თითოეული ბრონეტექნიკის, საარტერიო დანადგარის, ამ ადამიანის გათვალისწინებით ანუ, ეს ხდებოდა ზუსტად იმისდა მიხედვით, თუ რა ინფორმაცია შემოდოდა.

თავმჯდომარე. შემდგომში უკვე, როგორც საბრძოლო მოქმედებებმა აჩვენა, დავუშვათ, ამ გეგმის, დაგეგმარებაში იყო თუ არის შეცდომები, თქვენი აზრით?

დ.კეზერაშვილი. ჩემი აზრით, არა. თუმცა ჩემი აზრი ამ შემთხვევაში ვერ იქნება, ასე ვთქვათ, ვერ არის ძალიან კომპეტენტური იქიდან გამომდინარე, რომ მე არ ვარ სამხედრო. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ რომ გვექონდა ინფორმაცია, რომ საქართველოში შემოვიდოდა ამდენი, ამხელა ჯარი და ამხელა შეიარაღებით, შეიძლება, რომ სხვანაირად გადაგეგმილიყო ყველაფერი, მაგრამ ჩვენ იმ მომენტისთვის, ეს, ბუნებრივია, არ ვიცოდით. შესაბამისად დაიგეგმა ყველაფერი იქიდან გამომდინარე, რაც ვიცოდით 7-ში.

თავმჯდომარე. ევაკუაციის გეგმა თუ შეიქმნა, დავუშვათ და თქვენი აზრით, როგორ განხორციელდა?

დ.კეზერაშვილი. ჯარის ევაკუაციის?

თავმჯდომარე. ხო, გამოყვანის, ე.წ.

დ.კეზერაშვილი. კი ბატონო, ამაზე ქალბატონმა ხათუნამაც მკითხა, მას შემდეგ, რაც ჩვენ ვიხილეთ ის ძალა, რომელიც ჩვენ ვიხილეთ. ანუ ჩვენ, ვგულისხმობ 9-ში, 10-ში და ეს იყო უწყვეტი კოლონები, უწყვეტი ძალები ჩვენ ვდებულვით ინფორმაციას წინწაწეული სადაზვერვო დანაყოფებიდან ისევე, როგორც ჯარისკაცებმა, რომლებიც უფრო უშუალოდ იყვნენ ჯარი, დანაყოფებიდან უშუალოდ იყვნენ ჩაბმულები კონტაქტში ისინი ამბობდნენ, რომ ეს არის ძალიან დიდი მასა. აქედან გამომდინარე, ისევ და ისევ კეთდებოდა გეგმები უკან გამოსვლის და უკან დახევის. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, ჯერ მოხდა უკან დახევა ცხინვალიდან, გამოვიდა საჯარისო შენაერთები თვითონ საზღვრებს აქეთ, პირობითად "საზღვრებს აქეთ" და შემდეგ მოხდა უკვე გამოყვანა თბილისზე... მომენტში იყო ორი გზა, შეიძლებოდა გამოსვლა გორში და გორში დადგომა და იქ კიდევ ერთი ბრძოლის გადატანა, თუმცა აქ იყო რეკომენდაცია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა ძალიან დიდი დანაკარგები, როგორც სამხედრო ასე სამოქალაქო პირებში, რომელიც დარჩნენ, სხვათა შორის და თქვეს უარი გამოსვლაზე გორიდან და მეორე ვარიანტი იყო წამოსვლა უკვე თბილისზე. ჩვენ ვინარჩუნებდით შეიარაღებულ ძალებს და ამით ჩვენ შევძლებდით მოწინააღმდეგის თბილისზე წამოსვლის შემთხვევაში გაგვეწია მათთვის წინააღმდეგობა. ამიტომ გადაწყვეტილება იქნა მიღებული უკანასკნელის სასარგებლოდ.

თავმჯდომარე. ბატონო დავით, თქვენ, როგორც ვხვდები, დადებითად აფასებთ იმ გეგმის განხორციელებას, რაც დაიგეგმა უკვე გამოყვანა ანუ შეიარაღებული ძალების გამოყვანასთან დაკავშირებით, როგორც ვატყობ, მაგრამ, მიუხედავად ამისა...

დ.კეზერაშვილი. მე არ ვამბობ, რომ დადებითად განხორციელდა, მე ვამბობ, რომ დადებითად და სწორად იქნა ჩემი შეფასებით, განხორციელებული.

თავმჯდომარე. თუმცა, რამოდენიმე ათეული, თუ მეტი არა, ჯარისკაცი ჩარჩა, ასე ვთქვათ...

დ.კეზერაშვილი. ამაზე თუ შეიძლება, მოგახსენებთ. მე ვამბობ, რომ არ იყო სწორად განხორციელებული-თქო ბევრი რამე. თორემ დაგეგმილი იყო სწორად. დაგეგმილსა და განხორციელებულს შორის, მე მგონი, მანინც არსებობს განსხვავება იმიტომ, რომ ჩვენ შეიძლება დავგეგმოთ ერთი და გააკეთონ მეორე.

ლ.ვეფხვაძე. ჩემი კითხვის აზრი სწორედ ეს არის, რომ, სამწუხაროდ, ისე წავიდა შემდგომში ვითრება, რომ ზოგიერთი ამ ჯარისკაცებისგან, ჯარისკაცებზე საუბარი, მიცემულია სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში. ამის შესახებ მედიის საშუალებით ვეცნობით გარკვეულ პუბლიკაციებს, თქვენც ნახავდით. თუმცა, არანაირ პასუხისმგებლობაში, პრინციპში, არ ეძლევა ის ადამიანები, რომლებიც უშუალო მეთაურები იყვნენ და რომელთა უშუალო ვალდებულება იყო ამ ადამიანების გამოყვანა.

დ.კეზერაშვილი. პასუხისგებაში ვინ ჯარისკაცები არიან მიცემულები? ... დააკონკრეტოთ.

ლ.ვეფხვაძე. იყო რამოდენიმე პუბლიკაცია, მე გვარები არ მახსოვს. შემიძლია მოგაწოდოთ ის პუბლიკაციები იმ ჯარისკაცებზე, რომლებიც ჩარჩნენ, რომლებმაც ტყე-ტყე იარეს გარკვეული პერიოდი და გამოვიდნენ და შემდგომ უკვე თვითდათხოვნის მუხლით, 382-ე მუხლია, არის ამ ადამიანებზე აღძრული სისხლის სამართლის

საქმე.

დ.კეზერაშვილი. მე ვერ დაგეთანხმებით. კარგია, რომ გამახსენეთ. ეს არის ის საკითხი, რომელიც....

ლ.ვეფხვაძე. არა, მე არ ვგულისხმობ იმ ხალხზე, რომელიც წავიდა ნაწილებიდან.

დ.კეზერაშვილი. კი,კი, კი, ბატონო.

ლ.ვეფხვაძე. მე ვგულისხმობ იმას, ვინც ტყეებში იყვნენ და შემდგომში, გამოსვლის შემდეგ მოხდა მათი დაკავება.

დ.კეზერაშვილი. გაგცემთ პასუხს ამაზე. გამაღობთ ამ კითხვისთვის. მე თვითონაც მინდოდა, რომ ეს მეხსენებინა. უბრალოდ, გამოძრვა. პასუხისგებაში, როგორც ასეთი, მიცემული არიან ოფიცრები, თუ არ ვცდები, დაახლოებით 50 ოფიცერი სხვადასხვა რანგის, რომელმაც გასცა არასწორი ბრძანება, მას შემდეგ, რაც მოხდა გამოსვლა, გასცა არასწორი ბრძანება იმასთან დაკავშირებით, რომ რაღაც ნაწილებს შეეძლოთ წასულიყვნენ სახლში.

რაც შეეხება ჯარისკაცებს და სერჟანტებს, რომლებიც არიან დათხოვნილები ჯარიდან და არიან გარკვეულწილად პასუხისგებაში მიცემულები, ეს შეეხება ჯარისკაცებს, რომლებიც არ დაბრუნდნენ თავიანთ დისლოკაციის ადგილებში, იმ მომენტისთვის დისლოკაციის ადგილებში 1 სექტემბრამდე ანუ 2 კვირის განმავლობაში. და თუ თქვენ გაქვთ რაიმე ინფორმაცია რომელიმე, თუნდაც ერთი ჯარისკაცი კი, არის მოხვედრილი პასუხისგებაში ან არის დათხოვნილი ისეთი, რომელიც 2 დღეში, 3 დღეში ან, თუნდაც, 10 დღეში გორის დატოვების შემდეგ მოვიდა ნაწილში და ისინი გაუშვეს, მე პირადად დიდ მაღლობას მოგიხდით და დავინტერესდები ამ საკითხით და დიდი სიამოვნებით აღვადგენ. ეს მოხდა ასე: როდესაც 1 სექტემბრამდე არ მოვიდა გარკვეული ნაწილი უკან, ის ადამიანები, რამოდენიმეჯერ შეტყობინების შემდეგ, სხვათა შორის, არ დაბრუნდნენ, ის ადამიანები, ბუნებრივია, მიეცნენ პასუხისგებაში.

-----აი ამ საკითხთან დაკავშირებით მაინტერესებს. ეს, ალბათ, 7 აგვისტოს არ ეხება და იმ მოვლენებს, თუმცა, საინტერესოა საზოგადოებისთვის. სტატისტიკა შეიარაღებული ძალებისადმი მიმართვის ომის შემდეგ...

დ.კეზერაშვილი. საკმაოდ მაღალი.

----- არის ეს მზარდი, კლებადი თუ.....

დ.კეზერაშვილი. მე ვერ ვიტყვოდი, რომ ეს არის მზარდი ან კლებადი, მაგრამ არის იმდენად მაღალი, რამდენიც იყო 7 აგვისტომდე. ნუ, შეიძლება, ცოტათი მეტი, ცოტათი ნაკლები, ეს ხომ, ანუ ამას ცალსახად ვერ ვიტყვით. მე შემძლია მაგალითისთვის გითხრათ, რომ 650 ადგილზე განაცხადი შემოიტანა 1200-მა. დანარჩენები ვინც ვერ მივიღეთ ამ გადაამზადების ცენტრებში ისინი ჩარიცხულები არიან სარეზერვო სიაში, რომელიც გამოძახებულები იქმებიან შემდეგ. საკმაოდ მაღალი.

თამეჯდომარე. ბატონო დავით, მე მინდა დავუბრუნდე ცხინვალის ოპერაციას.

დ.კეზერაშვილი. დიახ.

თამეჯდომარე. რეალურად, როდესაც ხორციელდებოდა და ეს გასაგები არის, ჩვენთვის გახდა ცნობილი გივი ჯანაურის შტაბის ხელმძღვანელის მხრიდან და გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან ...

დ.კეზერაშვილი. დიახ.

თამეჯდომარე. ბრძანებების საფუძველზე, რაც გასცა მთავარსარდალმა. საუბარი არის მშვიდობიანი მოსახლეობის მაქსიმალურად გამოყვანაზე.....

დ.კეზერაშვილი. დიახ.

თამეჯდომარე. ქართული სოფლებიდან, რომელიც იყო ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე, თვითონ, აი, თქვენ აღნიშნეთ აგრეთვე, რომ იმყოფებით ცხინვალის მისადგომებთან ამ სიტუაციაში, რაზეც შეიძლება ითქვას, რომ ქართული შეიარაღებულ ძალებს და სპეცდანიშნულების რაზმებს ჰქონდათ კონტროლი ქალაქ

ცხინვალზე. და აი, იმ პერიოდში როდესაც იყო ეს კონტროლი, ის გზა, რასაც ჰქვია გამოყვანა მშვიდობიანი მოსახლეობის ამას, ალბათ, მოიცავს იგივე ის მორატორიუმი, რომელიც

დ.კეზერაშვილი. დიახ.

თავმჯდომარე. გამოცხადებული იყო. რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს კონტროლი, თუ იყო კონტროლი და მე აქ ხაზი მინდა გავუსვა, არ ვსაუბრობ სრულ კონტროლზე იმიტომ, რომ მესმის სრული კონტროლი არ იყო, იქ იყო საცეცხლე წერტილები ცხინვალში. საუბარი არის კონტროლზე გზის მშვიდობიანი მოსახლეობის გამოყვანის

დ.კეზერაშვილი. კი.

თავმჯდომარე. და თქვენი იქ ყოფნის მომენტში როდის დაიწყო მზარდი ესკალაცია უკვე ოსეთის შეიარაღებული ძალების შემოსვლის თვითონ ცხინვალში და მერე გორის მიმართულებით

დ.კეზერაშვილი. კი, ბატონო.

თავმჯდომარე. ... მოძრაობა. აი, ეს მონაკვეთი, თუ შეიძლება, დროის მონაკვეთითაც რომ დააზუსტოთ.

დ.კეზერაშვილი. კი, ბატონო. მე შემძლია გითხრათ, რომ 8-ში დილას, როდესაც დაიწყო ცხინვალზე შეტევა, ანუ გაიცა ბრძანება ცენტრალური მიმართულებით სპეცდანიშნულების რაზმების გასვლის შესახებ 53 წუთში ცხინვალის მთლიანად იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტროლქვეშ, მთლიანად. ამას მინდა ხაზი გავუსვა, ვგულისხმობ ტერიტორიას. მე არ ვგულისხმობ შენობების გაწმენდას, შენობებში, რა თქმა უნდა, იყო მოწინააღმდეგე, იქ იყო პატარა-პატარა ადგილები, სადაც ბუნებრივია ხდებოდა შეტაკებები, მაგრამ 8 რიცხვში მთლიანად ცხინვალის იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტროლქვეშ. პრობლემები დაიწყო 9 რიცხიდან, 9-ში დილიდან, როდესაც ავიციამ დაიწყო მასიური დაბომბვა ცხინვალის და არტილერიამ დაიწყო მასიური დაბომბვა ცხინვალის ამ შემთხვევაში საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მოუწიათ რამოდენიმეჯერ უკან დახევა და აი, ამ უკან დახევის შემდეგ უკან შესვლა უკვე ხდებოდა ძალიან რთული. მე ვიცი, რომ ზოგი, ასე ვთქვათ, გამიგია, რომ ბევრი ამბობს, რომ ცხინვალის საერთოდ არ ყოფილა საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტროლის ქვეშ, მაგრამ ეს ასე არ იყო.

თავმჯდომარე. ბატონო დავით, ბევრი შეკითხვები მოდის, კომისიაში და აქ არის საუბარი იგივე, ჩვენ მივიღეთ გარკვეული განმარტებები. ეს ეხება ტყვეების რაოდენობას, მაგრამ აგრეთვე ეხება უგზოუკლოდ დაკარგულ ადამიანებს. გენერალური შტაბის უფროსმა მოგვაცხენა ჩვენ ამის თაობაზე. აი მაგალითად მე, არა ერთმა ოჯახის წარმომადგენელმა მომმართა მე-4 ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიის. აქ არის საუბარი, რომ ცხინვალთან, ცხინვალის შესასვლელთან, რაღაც ნაძვანთან, რომელიც არის სოფელ ხეთაგუროვოს მხრიდან, არიან, ეს ოჯახის წევრები აღნიშნავენ ამას, რომ არიან დაღუპული მეომრები. რომელთაც, ოსური მხარის ინფორმაციიდან დაყრდნობით, ერთ-ერთი ხელმძღვანელი მე-4 ქვეითი ბრიგადისა საარტილერიო დივიზიისა იყო ბატონი ერეკლე ყურაშვილი, რომელიც, საკითხი, ვთქვათ, როგორც ოსური მხარე აცნობებს ოჯახს, რომ არის ნაძვანის ტერიტორიაზე, შემდგომ ხდება ამის დადგენა. მე მაინტერესებს, საერთოდ თავდაცვის სამინისტრო ფლობს თუ არა ინფორმაციებს რაღაც ასეთი ტიპის სამარხებთან დაკავშირებით, აგრეთვე, თუ ფლობს ინფორმაციებს და რა ღონისძიებების გატარება ხდება იმ მიმართულებით, როგორც გახდა ჩვენთვის ცნობილი იგივე კომისიაზე მომართვით და ბევრი, ვთქვათ, იმ ინფორმაციების საფუძველზე, რომ რამოდენიმე ოფიცერი წაყვანილი არის, დავუშვათ, ოსეთის მიმართულებით, თუ ჩვენ ვფლობთ ამ მიმართულებით რაღაც ინფორმაციას, უგზოუკლოდ დაკარგულებზეა საუბარი. მე არ ვუსვამ ხაზს, თუ სად იმყოფებიან ისინი ჯერ. ცნობილია, რომ ბევრი ინფორმაცია, იგივე, არის უგზოუკლოდ დაკარგულთა კომისია, რომელიც მუშაობს ამ საკითხებზე და ადგენს. აი თავდაცვის სამინისტრო ამ კუთხით რა ინფორმაციებს ფლობს და რა ღონისძიებებს ატარებს ამ მიმართულებით. . . გზით.

დ.კეზერაშვილი. მე მინდა ბოდიში მოვიხადო, მე დამავიწყდა, შეკითხვა იყო დაღუპულებთან და მსხვერპლთან დაკავშირებით. ამაზეც ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმა არსებობს დღემდე სამწუხაროდ. სულ მთლიანად დაღუპული არის 169 სამხედრო მოსამსახურე მთელი ამ ომის განმავლობაში, უფრო სწორად, დაღუპულად და დაკარგულად ითვლება 169. დაღუპული არის 144. აქედან 31-ის ამოცნობა და იდენტიფიცირება მოხდა დნმ-ის, 31 ამოცნობა მოხდა დნმ-ის პასუხით. დაკარგულად ითვლება 25, აქედან 16 გვამზე კეთდება, გამოტანილია 16 ნიშნით და კეთდება დენემის ანალიზი. სავარაუდოდ უგზოუკლოდ დაკარგული დარჩება 9 თუ 16-ივე, აღმოჩნდა სამხედრო მოსამსახურე, მაგ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს 9 დაკარგული, მთლიანად ოპერაციის დროს დაჭრილი იყო 1198 ადამიანი, აქედან ზოგი მძიმედ აღარ ჩამოვყვები, ზოგიერთი მაგალითად გაგზავნილია საზღვარგარეთ და

დღემდე მკურნალობს. საზღვარგარეთ და ასე შემდეგ.

რაც შეეხება კონკრეტულად თუ როგორ მოქმედებს და რას აკეთებს თავდაცვის სამინისტრო ამით ჩემი მოადგილე ბატონი მამუკა მუჯირი, დაკავებული და თუ უფრო დეტალებში, მე ვფიქრობ, რომ თუ თქვენ იტყვით იქნება მას ვთხოვთ, რომ გაგვითხროს პასუხი.

თავმჯდომარე. ბატონ დიმიტრის, დამატება უნდა.

დ.ლორთქიფანიძე. დიახ, ბატონო დავით, ჩვენთან ასევე შემოვიდა ინფორმაცია სამხედრო საჰაერო ძალების ოფიცერზე ვინმე თამაზ გიგას ძე ბლიაძეზე, რომელიც იქნა ბრალდებული თაღლითობაში, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში და მითვისებაში. სამივე ბრალდებაში, თამაზ ბლიაძე იქნა გამართლებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ და წარედგინა მე-4 ბრალი უფლებამოსილების გადამეტებით

დ.კეზერაშვილი. ამჟამად, როდის ხდება? თუ შეიძლება, ეს რომ მითხრათ, როდის?

დ.ლორთქიფანიძე. ეს არის ესე იგი, 2006 წლიდან, დღემდე ხდება ეს ბრალდებათა სერია, ოღონდ სამივე ბრალში იქნა გამართლებული. ეს პიროვნება, ამჟამად იგი არის პირველ საპრობილეში და სასჯელს იხდის, სასჯელის ზომად და სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. ის ადამიანი თავს მიიჩნევს სრულიად უკანონოდ დაპატიმრებულად. თავს არ ცნობდა არც ერთ ბრალდებაში და აქედან გამომდინარე, ამის დადასტურებაა ისიც, რომ სააპელაციო სასამართლომ იგი სამივე ბრალში გაამართლა. და მე, უბრალოდ, მინდა კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ ჩემი ინფორმაციით, ეს გახლავთ მეტად მნიშვნელოვანი სპეციალობის მქონე სამხედრო სამხედრო – საჰაერო ძალების ოფიცერზე გახლავთ საუბარი. ხომ არა გაქვთ რამე ინფორმაცია?

დ.კეზერაშვილი. მე, სამწუხაროდ, ეხლა ის ინფორმაცია არ მაქვს იქიდან გამომდინარე, რომ ეს უშუალოდ აგვისტოს მოვლენებს არ შეეხებოდა. ამიტომ არ წამოვიღე მონაცემები ადამიანების შესახებ, რომლებიც აგვისტომდე არიან პასუხისგებაში მიცემულები, თუმცა შეიძლება, რომ ეგეთ საკითხებზე, თუ შეიძლება მე ზოგადად ვიტყვი, რომ შეიძლება წერილობითაც მომართვა ან არა წერილობით და ჩვენ ყველა ეგეთ საკითხს გავივლით აუცილებლად. ამ საკითხზე დავინტერესდები. მე ინფორმაციას მოგაწვდით.

დ.ლორთქიფანიძე. მე მაშინ ვთხოვდი ბატონ მინისტრის მოადგილეს, რაც შეეხება ამ ტყვეებთან დაკავშირებით და განსაკუთრებით, ხაზი მინდა გაუსვა, აი ამ ნაძვანთან დაკავშირებით თუ რა ინფორმაცია გვაქვს?

გ.თარგამაძე. ერთი შეიძლება სანამ ბატონი მამუკა, დაიწყებს უბრალოდ ვინაიდან ჩვენ ერთად ვმუშაობთ პრაქტიკულად ყურადღებით დაკავშირებით მე მინდა პასუხი გაგვითხროს იმიტომ, რომ ეს ადამიანის ცხედარი არის ამოცნობილი ანუ იდენტიფიცირებულია დნმ-ის კოდით. სამწუხაროდ, მე მესმის ოჯახის წევრების წუხილი და მესმის ისიც, რომ დაჯერება ამ ფაქტის მათ უჭირთ, უბრალოდ, მათი მხრიდან, ისმის ხოლმე კითხვა, რომ თავდაპირველად ჩემგან იყო პასუხი, რომ ცხედარი არ არის იდენტიფიცირებული და რატომ არის ეხლა, ნუ, დრო და პერიოდი სჭირდება იდენტიფიკაციის პროცესს. მართლაც პირველად, როდესაც მათ კითხვით მომმართეს, არ იყო ჯერ ეს ცხედარი იდენტიფიცირებული. ამჟამად იდენტიფიცირებულია და იდენტიფიცირების პროცესში ეჭვის შეტანა, ნამდვილად აზრს მოკლებულია, ვინაიდან ეს უტყუარი მონაცემებია.

თავმჯდომარე. მაშინ ბატონ მამუკას ვთხოვდი, რომ აი ეს იგივე, განვმარტოთ ის იდენტიფიკაციის საკითხები, როგორ ხდება თავდაცვის სამინისტროში.

მამუკა. ნუ, ზოგადად მოგახსენებთ. ეს თავიდან როგორ მოხდა. ე. ი. საომარი მოქმედებების დასრულებისთანავე 14 რიცხვში, თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ბატონი გივის მეთაურობით შეიქმნა კომისია, რომელშიც ჩართული იქნა შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები და რა თქმა უნდა, ჩვენ. კომისიის მიზანი იყო სწორედ, ე. ი. საომარი მოქმედებების დროს დაკავებული პირების ურთიერთგაცვლა, მოძიება, ტყვეების გაცვლა, გარდაცვლილების ნეშტების გაცვლა და ა. შ. პრინციპში, პირველი ესეთი გაცვლა მოხდა 19 აგვისტოს, გახსოვთ ალბათ, მაშინ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის, ბატონი, კახა ლომიას და საფრანგეთის ელჩის ეგიდით მოხდა ტყვეების გაცვლა. ჩვენი მხრიდან გადაცემული იქნა რუსი 5 მფრინავი ტყვე, ხილი მათი მხრიდან გადმოცემული იქნა 15 სამხედრო მოსამსახურე. შემდეგ ეს პროცესები უკვე გაგრძელდა. დასრულდა საბოლოო

ჯამში 27 აგვისტოს. ჩვენი მხრიდან, მთლიანობაში გადაცემული იქნა 46 ტყვე. მე კიდევ ერთხელ დავაზუსტებ, რომ აქედან 41 არის ოსი, ე. წ. ბანდ-ფორმირებების წევრები, 5 რუსი სამხედრო მოსამსახურე, ხოლო მათი მხრიდან გადმოცემული იქნა 185 ტყვე. აქედან იყო მხოლოდ 17 სამხედრო მოსამსახურე. მე აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 185-ს როდესაც ვახსენებ, ეს ძირითადად არის სამოქალაქო მოსახლეობა, რომელიც სოფლებიდან მათ, ფაქტიურად, იძულებით წაიყვანეს. ეს არის საკმაოდ ასაკიან ხალხზე საუბარი. ზოგიერთი დაზადებული არის 1920 წელს, 26 წელს. აი ესეთი ასაკის ხალხზე მაქვს საუბარი. პირობები, რომელსაც ისინი იმყოფებოდნენ, ფაქტიურად, ენით აუწერელია. კამერები, რომელიც გათვლილი არის დაახლოებით 15-20 კაცზე, ცხინვალის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპრობილემებზე მაქვს საუბარი, მოთავსებული ჰყავდათ 50-60 ადამიანი, ქალები-კაცები ერთად და დღეში აძლევდნენ იქ რამოდენიმე პურს და წყალს. უმეტესობა მათგანი იყო ნაცემი, როდესაც ჩვენ გამოვიყვანეთ ეს ყველაფერი არის დაფიქსირებული აბსოლუტურად ყველა, რომ გაცვლის შემდეგ ჩვენ ისინი მიგყავდა ხოლმე გორში სამხედრო გოსპიტალში და ეს დაზიანებები და ე.ი. მათი მდგომარეობა მთლიანად ეს არის სრულად აღწერილი და ან დადასტურებული. რაც შეეხება სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც გადმოგვცეს უმეტესობა მათგანი იყო ნაწამები, შემძლია აღვნიშნო მაგალითად ორი პიროვნება: არათანაშვილი და გოგიბერიშვილი, რომელთა გაცვლა შემდგომში მოხდა. თითოეულ მათგანს დამტვრეული ჰქონდათ ხელებზე თითები, მოტეხილი ფეხი და მთელი ტანი დაჩხვლეტილი და დასერილი ჰქონდათ ე.წ. -თ. მათ გამო ითხოვდნენ თუ გახსოვთ თქვენ ეგეთი, რუსეთის საინფორმაციო არხზე გავიდა ეგეთი ინტერვიუ თითქოს დავალება ჰქონდათ მიცემული, ჩვენ ე.ი. ტანკისტებს, რომ არცერთი იქ რაღაცა შენობა არ დაეტოვებიათ თუ რაღაცა მსგავსი სისულელე და აი ის სწორედ ამ ეს რომ აეძულეხათ ე.ი. რომ მსგავსი რაღაცა ჩვენებები მიეცათ არც ეს დაფიქსირებული არის, გადაღებულიც არის. ფაქტიურად ხელებზე დამტვრეული აქვთ ყველა თითები და ფეხი ჰქონდა გოგიბერიშვილს მოტეხილი და საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა სხვა თა შორის მკურნალობასაც კაი ხანს გადიოდა და მათ შორის ფსიქიატრიულსაც, იმიტომ, რომ მათი ფსიქიური მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო. რაც შეეხება მიცვალებულების თემას. თქვენ მოგახსენებთ პირველი გადმოსვენება მოხდა საპატრიარქოს მეშვეობით. ეს იყო 13 რიცხვი. სამწუხაროდ სეპარატისტებისა და რუსების მხრიდან არ იქნა არცერთი ნეშტი მიწას მიბარებული. შესაბამისად 4,5 დღის მანძილზე აგვისტოს სიცხეში ეს მიცვალებულები იყვნენ იმ ადგილებში სადაც გარდაიცვალნენ და ნუ წარმოგიდგენიათ უნალოდ რა მდგომარეობაში იყო. ჩვენ გვაქვს სპეციალური, თავდაცვის სამინისტროს სპეციალური მარკირება ე.ი. ეს არის ჟეტონი, რომელიც აქვს გულზე სამხედრო მოსამსახურეებს და აქვს ჩექმის შესაკვანჯი, ვინაიდან ჩექმები აბსოლუტურად სუყველას გახდილი ჰქონდა ან გამარცვლები იყვნენ, შესაბამისად ეს ჟეტონები მათ არ გააჩნდათ, რაც შეეხება დულზე დასაკიდ ჟეტონებს და ე.ი. სამკლარურებს, სადაც გვარი წერია ისინიც სუყველაზე იყო. ფაქტიურად გვამები სუყველა იყო გამარცვული. მათ შორის ეს აღმნიშვნელ ნიშნებიანი, ანუ რომელ ნაწილს ეკუთვნოდა ან გვარი და ა.შ. ესეც ზედ არ ჰქონდათ. ამან გაართულა სწორედ პროცესი იდენტიფიცირების, იმიტომ, რომ ვიზუალურად ამოცნობა მათი შეუძლებელი იყო ისეთ მდგომარეობაში იყო. აქ მინდა აღვნიშნო, სხვათა შორის ეს საპატრიარქოს მიერ გამოსვენებული გვამებიდან, იქ იყო რამოდენიმე გვამი, რომელიც იყო დანაწევრებული, ანუ ტანის ზედა ნაწილი ქვედა ნაწილი ცალ-ცალკე იყო. აქ სხვათა შორის გარკვეულ გმირობასთანაც ჰქონდა ადგილი, არის ეგეთი მებრძოლი ესე იგი შემდეგი იდენტიფიცირების შედეგად გახდა ცნობილი, ვინ იყვნენ ესენი არის მებრძოლი ონიანი, რომელიც თავის ნათლულთან ერთად იღებდა მონაწილეობას საბრძოლო მდგომარეობაში, და ნათლული იყო დაჭრილი მისი მეგობარიც დაჭრილი, მან მართო ვერ შეძლო ამ ორი დაჭრილის გამოყვანა, და როდესაც უკვე რუსის ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს და უკვე საშიშროება იმისი იყო, რომ ტყვედ აიყვანათ სუყველა. ესე იგი ფაქტიურად გახსნა ხელყუმბარა, ჩაეხუტა ამ თავის დაჭრილებს და ერთად აიფეთქეს თავი. მარა, ნუ შესაბამისად ესენიც ხუთი, ექვსი დღის მანძილზე იმ თავკარა მზის ქვეშ იყო, და ნუ ანუ ვიზუალურად მათი იდენტიფიცირება მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის წევრებიც მიგყავდა ვთქვათ იქ და თვითონ უშუალოდ სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელები შეუძლებელი გახდა. იმიტომ, შემდგომში ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და ჩაერთეთ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ცენტრი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, რომ დეენემის მიხედვით, ანუ გენეტიკური ...მიხედვით დაადგინოს თუ ვინ რომელი პიროვნება არის გარდაცვლილი, ყველა მშობელს მოვთხოვეთ, ვთხოვეთ რომ ჩაებარებინა სისხლი, ეს საკმაოდ ძვირადღირებული გამოკლევა და მთლიანად ხარჯები თავდაცვის სამინისტრომ აიღო ამ შემთხვევაში თავის თავზე. და დაიწყო იდენტიფიცირების პროცესი მარა აქ პრობლემა არის კიდევ ერთ საკითხში, საერთოდ როგორც წესი ხდება სისხლით იდენტიფიცირება დეენემის განსაზღვრა. ვინაიდან ეს გვამები იყო გახსნილი, სისხლის ნიმუშს ანუ რბილი ქსოვილი ფაქტიურად გამოუსადეგარი იყო ექსპერტიზისთვის. იმიტომ, აღებული იქნა ფეხის ძვლის ნიმუშები, ფეხის ძვლის ნაწილი თავის ზურგის ტვინის ნაწილი, და იქიდან ხდება ესე იგი ამ კოდის განსაზღვრა. მარა ამ შემთხვევაში აი ძვლიდან როდესაც იღებენ ამ ნიმუშს, შესაბამისად განსაზღვრა ანუ ანალიზის ჩატარება და შედარება ვთქვათ, მშობლის სისხლთან და იქიდან განსაზღვრულ კოდთან გარკვეულ დროს მოითხოვს. ამან იმიტომ მოხდა სწორედ აი გაგრძელება ვთქვათ, და დროის გაჭიანურებაპროცესს. ანუ რბილი ქსოვილიდან იქ ფაქტიურად ვერ მოხდა ანალიზი ადგება, რაც შეეხება ძვლიდან ამის განსაზღვრას იმას გარკვეული უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევაში. რაც შეეხება ნუ აი 9 ადამიანი, რომელიც სავარაუდოდ უგზო-უკვლოდ არის დაკარგული, ეხლა რამდენადაც ძნელი მოსასმენი არ უნდა იყოს ვთქვათ, ოჯახის წევრებისთვის. ჩვენ გვქონდა ეს ინფორმაციები, ბატონ გივისთან შექნილ კომისიაში მოქმედებდა ცხელი ხაზი და, ვთქვათ, ეგეთი ინფორმაციები, რომ ამა თუ იმ, ვთქვათ, სტადიონზეა დამარხული, იქ რომელიდაც სოფელშია, იქ სადაცა

ეკლესიის ეზოშია და ასე შემდეგ, ესეთი ინფორმაციები უამრავი იყო. ამის გადამოწმება, ფაქტიურად, შევძელით 100%–ით. იყო ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ რამოდენიმე ჯარისკაცი ან ოფიცერი ვლადიკავკასიაში ან ბესლამის საავადმყოფოებში და ასე შემდეგ გადიოდა მკურნალობას. ბატონი გივის უშუალო ძალიან მეგობრით იქ, ვთქვათ, ქართველი მოსახლეობა ზოგი ვიდაცის ცოლი, ზოგი ექიმი, ზოგი ისა, იმათი მეშვეობით, ფაქტიურად, ყველა საავადმყოფოში ჩვენ პიროვნებები შევაგზავნეთ და შესაძლებლობა სრული გვექონდა იმისი, რომ გადაგვემოწმებინა იყო ეს პიროვნებები თუ არა. სამწუხაროდ, საომარი მოქმედებების დროს მართლა იყვნენ ტყვეები აყვანილი, სამედიცინო დახმარებაც გაეწიათ, გარკვეულწილად, მაგრამ როდესაც ისინი შემდეგ გადაცემული იქნენ ოსეთის მხარისთვის უმეტესობა მათგანი იქნა დახვრეტილი. ამდენად, დღეს, დღეის მდგომარეობით ცოცხალი ტყვეების შესახებ, სამწუხაროდ, არანაირი ინფორმაცია არა გვაქვს. რა გვიდასტურებს ამ ფაქტს, ის გარემოებაც, რომ მათი ძირითადი მოთხოვნა ოსეთის მხარის იყო, გახსოვთ თქვენ, ალბათ, გორის ტერაქტში მონაწილე პირები და მარეკ დუდაევი, ეგრეთწოდებული, მათი ბოევიკი, რომელიც აი, მოლაპარაკებების დაწყების დღიდან, პირველივე დღიდან იყო მოთხოვნა, ვთქვათ, მისი გაცვლის. და იმდენად უნდათ, ვთქვათ, ეს რომ მოხდეს ჩვენ დავუყენეთ პირობად აი, ეხლა ბოლო პერიოდში, როდესაც გვექონდა ბატონ გივის მოლაპარაკება და მე, რომ ერთი ცოცხალი ჯარისკაცი, ერთი, მოიყვანეთ და ჩვენ მზად ვართ, რომ მარეკ დუდაევის საკითხი განვიხილოთ და გაგივცალოთ–თქო. ნუ ეს, ფაქტიურად, ვერ სრულდება. საომარი მოქმედებების დროსაც, თუ გახსოვთ თქვენ, რუსულ ტელეარხებზე გავიდა რამოდენიმე სიუჟეტი იმის შესახებ, რომ ქართველი ტყვეები ყავდათ აყვანილი და ეს აჩვენეს ტელევიზორში. ესე იგი, ვისაც ძირითადად რატომღაც გართულება ჰქონდათ ტანკისტებზე და, სამწუხაროდ, ვისაც ზეთში ან იმაში ჰქონდა ხელები დასვრილი იქ ადგილზევე ხვრიტავდნენ ყოველგვარი დაკითხვის და იმის გარეშე. აი, ის 17 სამხედრო მოსამსახურე, რომელთა გამოყვანაც შევძელით ჩვენ აი, იმ პირველივე დღეებში, ეს, ფაქტიურად, მოხერხდა რუსეთის სამხედრო წარმომადგენლებთან მუშაობის შედეგად. მათ ყავდათ ესენი და არა ოსებს და მათ სჭირდებოდათ ისინი, ნუ თითქოსდა იქ რაღაც დაკითხვების და საგამომიებო მოქმედებების ჩასატარებლად. აი, მაშინ რაც შევძელით, რომ გამოგვეყვანა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ორი ტყვე, რომელიც შემდგომში გადასცეს მათ ოსებს ეს ორი გამოვიყვანეთ. დანარჩენი რაც ოსების ხელში იყო და რაც გადასცეს, სამწუხაროდ, მათი სიცოცხლის შესახებ ინფორმაცია არა გვაქვს. ამ 9 უგზო–უკვლოდ დაკარგულიდან სამი მათგანის შესახებ, ეს არის N406 ტანკი, რომელიც ცხინვალის მისადგომებთან იქნა აფეთქებული და ეკიპაჟი მთლიანად შიგნით ჩაიწვა. ამის ინფორმაციაც გვაქვს და სსაბამისად ნეშთები იქ აღარ არის ფიზიკურად გადმოსასვენებელი. ეს არის ძირითათადად რაც ამ საკითხს ეხება.

თავმჯდომარე. რამოდენიმე კითხვა არის ბატონ მინისტრთან, თუ არ ვცდები.

დ.ლორთქიფანიძე. დიახ. ბატონო დავით, როდესაც 58–ე არმია შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე ჩემთვის, პირადად უცხოური საიტებიდან გახდა ცნობილი იმის თაობაზე, რომ ქართველმა რაინდებმა, ქართველმა გმირებმა, ესე ვიტყვოდი, ქართველმა მებრძოლებმა მოახერხეს და მწყობრიდან გამოიყვანეს 58–ე არმიის ხელმძღვანელი გენერალ–პოლკოვნიკი, თუ არ ვცდები, ხროლოვი გვარად.

თავმჯდომარე. ხრულოვი.

დ.ლორთქიფანიძე. დიახ, ხრულოვი. მე, ჩემი შეკითხვა, იცით, რაში მდგომარეობს, აქვე სხვადასხვა საიტებზე იყო აღწერილი რუსი ჯარისკაცების, რუსი ოფიცრების გმირობის შესახებაც. მე მინდა შეგვიკითხოთ გამომდინარე იქიდან, რომ უამრავი ისტორია არსებობს ქართველი მებრძოლების გმირობის ამსახველი სურათებისა. რატომ არ არის აღწერილი აღნიშნული ისტორიები, იგივე თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე ან ჩვენ ვიცით, რომ მოქმედებაშია ტელევიზია, ხომ? სამხედრო, ხომ? სხვათა შორის, საკმაოდ შემეცნებითი. მინდა აქვე ვთქვა, და რატომ არ არის დათმობილი რუბრიკა სწორედ აი აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებული გმირობის ფაქტებზე, რასაც მე, როგორც ვიცი, უხვად ჰქონდა ადგილი ჩვენ სინამდვილეში? თქვენმა მოადგილემაც ზუსტად ერთ–ერთი ამ ფაქტის შესახებ.

დ.კეზერაშვილი. მინდა ვთქვა, რომ ძალიან უვად ჰქონდა, რა თქმა უნდა, ფაქტები გმირობის, იგივე ინციდენტი გენერალ ხრულოვთან დაკავშირებული. ეს მოხდა მე–2 ბრიგადის სადაზვერვო ასეულს და 58–ე არმიის გენერლის, ასე ვთქვათ, გარემოცვას შორის შეტაკება, როდესაც გენერალი ხრულოვი დაიჭრა. თუმცა, რა თქმა უნდა ბევრი არის გმირობები. მე ვერ გეტყვით, რომ არ არის დათმობილი საქართველოს სამხედრო არხზე "ტვ საქართველოზე" დრო ამ გმირებისთვის, თუმცა მე დიდი სიამოვნებით დავავალებ თუ ეს არ არის საკმარისი და თქვენ თვლით, რომ ეს არ არის საკმარისი, მე კიდევ მეტს გავაკეთებ. მუდმივად ხდება მსგავსი სიუჟეტების გაკეთება, ისტორიების დამეჭვდა, დადება და მე მეტსაც გეტყვით, ჩვენ ზოგადად განვიხილავთ საკითხს იმის თაობაზე, რომ რაღაც წიგნის ან რამე სახით დაბეჭვდაც კი მოხდეს ამ ყველაფრისა. ასე რომ, ჩვენ ამაზე, ბუნებრივია, ვზრუნავთ. ეს მასალები გროვდება და არქივდება თავდაცვის სამინისტროში.

თავმჯდომარე. ბატონ ლევანს.

ლ.ვეფხვაძე. ბატონო დავით, ორი კითხვა მინდა დაგისვით. პირველი შეეხება, თქვენი სენაკის ბრიგადაში 6 აგვისტოს ვიზიტს ...

დ.კეზერაშვილი. დიახ.

ლ.ვეფხვაძე. გავრცელებული ინფორმაციით, 6 აგვისტოს ათამდე სამხედრო პირი იქნა დაკავებული, ეგრეთ წოდებული, ნარკოტიკული ნივთიერების

დ.კეზერაშვილი. კი, ბატონო.

ლ.ვეფხვაძე. შენახვისთვის. ხომ არ უკავშირდებოდა თქვენი ვიზიტი აი, ამ ფაქტს? ხომ არ იყო დაკავშირებული ...

დ.კეზერაშვილი. მე ვერ ვიტყვოდი, რომ მხოლოდ ... თუ დაამთავრეთ, გაგცემთ პასუხს.

ლ.ვეფხვაძე. და მეორე კითხვა შეეხება, ამ კითხვას პრეზიდენტი მოზრმანდება კომისიაზე და მას აუცილებლად დავევსვამთ. უბრალოდ, თქვენთანაც გვინტერესებს. თქვენ როგორ ფიქრობთ, ხომ არ იყო საფრთხის შემცველი თავდაცვის სამინისტროს ნაწილებისთვის პრეზიდენტის განცხადება, რომელიც მან 12-ში თუ 13-ში გააკეთა აგვისტოს, იმის შესახებ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების დიდი ნაწილი და სამხედრო ტექნიკა არის გადარჩენილი და არის ტყეში. აი, ეს განცხადება ხომ არ იყო საფრთხის შემცველი თავდაცვის სამინისტროს ნაწილებისთვის.

დ.კეზერაშვილი. კი, ბატონო, გმადლობთ. პირველი ჩემი ვიზიტი სენაკში, გარკვეულწილად, იყო ამასთან კავშირში, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იქ იყო ახალი ბრიგადის მეთაური. ამ მეთაურის დანიშვნასთან დაკავშირებით წარმოიქმნა გარკვეული პრობლემები და რამოდენიმე ადამიანი იქნა დაკავებული. თუმცა ეს მოხდა უკვე შემდეგ, ეს ხდება არა 6-ში არამედ, თუ არ ვცდები, 7-ში, მათ შორის, ნარკოტიკული ნივთიერებების მიღებასთან და ასე შემდეგ მუხლებით. თუმცა ეს ყველა ადამიანი, მე მინდა ვთქვა, რომ ეხლა არის გაშვებული და გათავისუფლებული. რაც შეეხება პრეზიდენტის განცხადებას, მე არ ვთვლი, რომ ეს იყო საფრთხის შემცველი. იმან, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები გადარჩა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი რუსული ტანკების თბილისზე არწამოსვლის საკითხში. იქიდან გამომდინარე, რომ მათ კარგად გაიაზრეს თუ ისინი წამოვიდოდნენ თბილისზე ისინი მოწყდებოდნენ რამოდენიმე ასეული კილომეტრით თავის ლოჯისტიკურ ცენტრს, რომელიც ამ შემთხვევაში იმყოფებოდა ჩრდილო კავკასიაში და მათ თბილისის მისადგომებთან დახვდებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალები, რომლებიც იყო, რომელიც იყო ბრძოლისუნარიანი და გაწედა წინააღმდეგობას. შესაბამისად, მე ვერ ვიტყვი, რომ ეს იყო ერთადერთი რამაც მათ გადააფიქრებინა, ვთვლი, რომ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ისინი არ წამოვიდნენ. მე არ ვარ ერთადერთი, ბევრი, მათ შორის, რუსი ექსპერტი, რომლებიც შემორჩა რუსეთში, ასე ვთქვათ, შეუძლიათ ხმამაღლა საუბარი ამის თაობაზე, ისინიც ამას, ამ აზრს ეთანხმებიან, რომ ეს იყო ერთერთი მიზეზი, რატომაც ისინი არ წამოვიდნენ.

თამეჯდომარე. ბატონ გიას.

ბატონო დავით, ომის შედეგად მიყენებული ზარალი თავდაცვის სამინისტროსთვის.

დ.კეზერაშვილი. ამაზე დახურულ სხდომაზე მოგახსენებთ დეტალურად, თუ რა ზარალი იქნა მიყენებული. და ეს არის საკმაოდ დიდი ზარალი, როგორც ინფრასტრუქტურის კუთხით, ისე შეიარაღების კუთხით და ისე ტექნიკის კუთხით.

თამეჯდომარე. ბატონ ნიკას, ვთხოვ.

ნ.ლალიაშვილი. ბატონო დავით, ერთი ძალიან მარტივი კითხვა მინდა დაგისვით. წესით არ უნდა ვსვამდე ამ შეკითხვას, იმიტომ, რომ პასუხი რატომღაც მგონია რომ ძალიან ნათელია ყველასთვის, მაგრამ, ამ ბოლო დროს, მესმის ხოლმე ძალიან არაერთგვაროვანი პასუხები და რაღაც დაჟინებული მცდელობა, რომ პასუხი იყოს მაქსიმალურად ბუნდოვანი, ამიტომ, თქვენ გთხოვთ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე არაპოლიტიზირებული უწყების ხელმძღვანელს, რომ პირადად თქვენი შეფასება გვითხრათ იმის შესახებ, თუ რას როგორ თვლით თქვენ – სამხედრო თვალსაზრისით აგვისტოს მოვლენები იყო თუ არა საქართველოსთვის მარცხი? მადლობთ.

დ.კეზერაშვილი. ზოგადად, რა თქმა უნდა, თუ ჩვენ ვსაუბრობთ კონკრეტულ ბრძოლაზე, მე ვერ ვიტყვი რომ ეს არ იყო მარცხი, თუ ჩვენ ვსაუბრობთ ზოგადად პრობლემაზე, რა თქმა უნდა, ეს მარცხი არ იყო, იქიდან

გამომდინარე, რომ მარცხს მოწინააღმდეგე განიცდის იმ შემთხვევაში, როდესაც შენმა ძალებმა მიაყენა მას იმხელა ზიანი და მიაღწია იმ ამოცანას, რომელი ამოცანაც მას უნდა მიეღწია. თუ ჩვენ ავიღებთ ზოგადად და გადავხედავთ რა სურდა რუსეთს და რას მიაღწია რუსეთმა მაგ შემთხვევაში დიდ ბრძოლაში, მე ვერ ვიტყვოდი რომ ეს არის მარცხი, იქიდან გამომდინარე რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, საქართველოს ჰყავს თავისი ხელისუფლება, საქართველოს ჰყავს შეიარაღებული ძალები, საქართველოს ეკონომიკა არ არის დანგრეული, და მისი დანარჩენი ტერიტორიების, ყოველ შემთხვევაში, ერთიანობა არ არის მორღვეული. რაც შეეხება კონკრეტულ ბრძოლას, ჩემი შეფასებით, ბუნებრივია, ეს ბრძოლა იყო წაგებული, თუმცა მე არ მგონია, რომ იმ ჯარით, რომელი ჯარაც ჰყავდა საქართველოს, მეტსაც გეტყვით, რომელიც ჰყავს რეგიონში რომელიმე ქვეყანას, თუ ჩავთვლით რუსეთს, შეუძლია გაუწიოს წინააღმდეგობა ამხელა მასას, რომელიც მოდიოდა საქართველოზე.

თავმჯდომარე. ბატონო დავით, მე მაშინ დავამატებ ამ კითხვას. ბატონ ნიკას ფაქტიურად გენერალური შტაბის უფროსის საუბრიდან, თქვენი საუბრიდან იკვეთება ეგეთი მომენტები, რომ რომელიც თქვენ ახსენეთ აქ არის საუბარი იგივე ლოჯისტიკის გარკვეულ პრობლემებზე, იგივე კავშირგაბმულობის პრობლემებზე, იგივე დაგეგმარების პრობლემებზე, პრობლემებზე რეზერვში, კავშირგაბმულობის ხაზით. თქვენ როგორც და ვიცით რომ ამას მოჰყვა გარკვეული საკადრო ცვლილებები გენერალურ შტაბში, თქვენ როგორც მინისტრი აი ამ, მე მესმის, რომ მიმდინარეობს ახალი შეიარაღებული ძალების მშენებლობა და ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ, თქვენ როგორც მინისტრი აი, ამ პრობლემების ფონზე იღებთ თუ არა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას იმ საკითხთან დაკავშირებით, იმ პრობლემებზე, რომელმაც იჩინა თავი? თქვენი პირადი აზრი მაინტერესებს ამ მიმართულებით.

დ.კეზერაშვილი. კი, ბატონო. პირველი. მე მინდა უბრალოდ, სწორად გამიგეთ, მანდ შესწორება შევიტანო. ლოჯისტიკური პრობლემები არ ყოფილა. ლოჯისტიკა იყო ამ შემთხვევაში, შემიძლია თამამად ვთქვა, ერთ-ერთი სფერო, რომელშიც საერთოდ არ ყოფილა პრობლემები, თუ ჩვენ ვსაუბრობთ რეგულარული არმიის ლოგისტიკაზე.

თავმჯდომარე. არა, სადმე, რაც გენშტაბთან იყო საუბარი, აქ რეზერვისტების. . .

დ.კეზერაშვილი. რეზერვისტებზე არ ვგულისხმობ. მე ვგულისხმობ ძირითად, ძირითად,

თავმჯდომარე. . . . ძირითად შემადგენლობაზე არ ვსაუბრობ, ხაზი მინდა გავუსვა.

დ.კეზერაშვილი. კი ბატონო. არა, ეს ზოგადად არის მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ შეიარაღების კუთხით ლოჯისტიკური პრობლემები, ძალიან სერიოზული და სისტემური პრობლემებია. მე უბრალოდ, მინდა ხაზი გავუსვა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და გაერთიანებულ შტაბში, ომის დროს არ ყოფილა სისტემური პრობლემები. იყო ტექნიკური პრობლემები და, ბუნებრივია, მე, როგორც თავდაცვის მინისტრი, რომელიც ვიყავი და ვარ თავდაცვის მინისტრი საქართველოში, ვიღებ სრულად პასუხისმგებლობას იმის თაობაზე, თუ რაც ხდებოდა და რა პრობლემებიც არსებობდა, ბუნებრივია, იმ ფარგლებში, რომელიც მე მეხება ამ შემთხვევაში.

თავმჯდომარე. ბატონო დავით, სანამ წავალთ დახურული სხდომისაკენ, კიდევ ერთ კითხვას დავამატებ, მედიის საშუალებებით გარკვეული საჯარო ფორმირებების წარმომადგენლებმა, მე ეხლა გვარი არ მახსოვს ზუსტად, მაგრამ შემიძლია დავასახელო გავითი, სადაც, "ალია", სადაც იყო ეგეთი მოსაზრებები გამოთქმული, რომ თქვენ, როგორც თავდაცვის მინისტრი, როდესაც იყო საშიშროება თბილისზე შემოტევის, იძლეოდათ გარკვეულ ბრძანებებს, საუბარი არის პარტიზანულ მოქმედებაზე გადასვლასთან დაკავშირებით და როდესაც და გარკვეული შეიარაღებული პირები, არ დაემორჩილნენ ამ თქვენს ბრძანებას. საერთოდ იყო თუ არა ეს ბრძანება ? და თუ. . .

დ.კეზერაშვილი. არანაირი ბრძანება იმასთან დაკავშირებით, რომ უნდა გადავსულიყავით რაიმე სახის პარტიზანულ ბრძოლაზე, არ ყოფილა არც ჩემი მხრიდან და არც რომელიმე სხვა თანამდებობის პირის მხრიდან. ამაზე შემიძლია, . . . ზოგადად პარტიზანულ ომზე გადასვლა არ იხილებოდა 11, 12, 13 აგვისტოს შემდეგ.

თავმჯდომარე. ე. ი. ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ დახურული სხდომისაკენ. მე მინდა ვთხოვო საორგანიზაციო განყოფილებას, რომ მაცნობოთ, როდის ვიქნებით მზად ამისათვის, როდის შეწყდება ეთერი. დახურულია თუ არა სხოდმა? რომ ვიცოდეთ.